იალქანი

ყოველკვირეული საპოლიტ. სამეცნიერო და სალიტ. ჟურნალი

№ 7. 3 მაისი, 1909 წ. ფასი 10 კაპ.

„იალქანისთვის“ დანიშნული ფული უნდა გამოიგზავნოს ამ ადრესით: Платону Ив. Хуцieву. Типографія „Сорапанъ“ Тифлисъ.

დღეს, 3 მაისს, წ. კ. გამავრცელებელ საზ. გადოების სასარგებლოთ მუშტაიდის ბაღში დიდი სასალხო სეირნობაა და ლატარია. ყველა ბილეთი მომგებიანია.



განსაცდელ[illegible] წინაშე

შინაარსი: მინისტრთა კაბინეტის კრიზისი. — ბოჰემიის ბალადა (ლექსი) ლ. დარჩიასი. — ობოლობის საუცხოვო ნიმუშები, ლ. კანდელისა. — დემონი ხარხარებს (ლექსი) ზომლეთელისა. — უტოპისტები და მარქსის მოძღვრება, ივ. გომართელისა. — ვარსკვლავს (ლექსი) ვ. ვ—ისა. — ბაქოს ნავთის მრეწველების მუშათა მოძრაობის ისტორიიდან. — „მებრძოლი მატერიალისტი“ გ. პ.—სა. — აბდულ-ჰამიდის დახასიათება. — პროვინცია.

მინისტრთა კაბინეტის კრიზისი

თბილისი, 3 მაისი.

ცხოვრებამ არ იცის ერთ წერტილზე გაჩერება—გაყინვა. ამიტომ როდესაც მშვიდობიან მსვლელობის, თანდათანობით განვითარების ყოველი გზები დახშული არის, მაშინ ცხოვრება მოძრაობს ხტომ-ხტომით; სულ ერთია საით იქნება ნახტომი—წინ, თუ უკან. თუ ცხოვრება საბოლოოთ არ დამდგარა გადაშენება-მოსპობის გზაზე, მაშინ რევოლუციული ნახტომი მხოლოდ უკან დახევაა წინ გადასახტომათ. რაკი ეს ასეა, რაკი ცხოვრებამ არ იცის ერთ წერტილზე გაყინვა, ალარც საკვირველია, თუ რომელიმე გაწამებული, ერთ ადგილზე მიჯაჭული სახელმწიფო კვლავ დააპირებს ხელ-ახალ გადატრიალებას...

1194

კონსტიტუციონურ ქვეყნებში, სადაც ძველი რეჟიმის უკანასკნელი ნაშთები ისტორიას ჩაჰბარებია, აქ ,,სახელმწიფოს პირველი მოქალაქე‘‘, მართალია, აღჭურვილია საკანონმდებლო და აღმასრულებელ (სამმართველო) უფლობით, მაგრამ ნამდვილათ სახელმწიფოს აღარ განაგებს, ის მხოლოდ მეფობს. იგი ყველაფერში სამინისტროსთან (მთავრობასთან) სოლიდარობითა და თანხმობით მოქმედებს, რადგან თვითონვეა თავი სამინისტროსი. და ეს უკანასკნელიც ყოველთვის თანხმობით მოქმედებს სახალხო წარმომადგენლობასთან (პარლამენტთან), რადგან ამის წინაშე პასუხის მგებელია. იქ თვითონ ხალხია ერთათ ერთი წყარო ყოველგვარ სახელმწიფო უფლებისა, და ამ უკანასკნელის ორგანოები (სახ. დაწესებულებანი) ჰარმონიულათ მოქმედებენ, ვით საგანგებოთ მოწყობილი რამე მანქანა. მთავრობის კრიზისიც (ერთი სამინისტროს გადადგომა და მეორის შედგენა) ისეთის სიადვილით ხდება, რომ სრულებითაც არ არღვევს სახელმწიფო მანქანის რეგულიარულ მუშაობას... რუსეთში საქმე ცოტა სხვანაირათ არის. აქ, კერძოთ, მთავრობას ისეთი ადგილი უჭირავს სახელმწიფოში, რომ მისი კრიზისი უეჭველათ ჰბადებს სახელმწიფოს კრიზისს, ისე როგორც ეს უკანასკნელი იწვევს პირველს...

ეს მეორე თვეა რუსეთის გაზეთების ფურცლებს არა ჰშორდება საკითხი სამინისტროს კრიზისის შესახებ. ეხლა მოვიდა ცნობა, ყველაფერმა მშვიდობიანათ ჩაიარა, კრიზისი არა ყოფილაო... ნამდვილათ როგორ არის საქმე?

ორივე პალატამ (სახ. დუმა და საბჭო) მიიღეს მთავრობისაგან მოწონებული და მისგანვე წარდგენილი კანონ-პროექტი საზღვაო გენერალურ შტაბის შტატების შესახებ, მაგრამ უმაღლესათ ეს არ იქმნა მოწონებულ-მიღებული, და ამავე დროს სტოლიპინის მთავრობასაც ნდობა და მოწონება გამოეცხადა უმაღლესათ... მაგრამ კრიზისი მაინც მხოლოდ ფორმალურათ არის თავიდან აცილებული. საქმე ის არის, რომ სამინისტროს კრიზისზე ხმები გაისმა, როცა ჯერ კიდევ საზღვაო შტატების საკითხი არ არსებობდა; ამ ხმებს საფუძველს აძლევდა და აძლევს ის გარემოება, რომ სტოლიპინის სამინისტროს მისსია დღეს უკვე შესრულებულია. ის მოგვევლინა სპეციალური მიზნით—სახელმწიფოში ჩამოეგდო დამშვიდება-დაწყნარება. ეს უკვე კაი ხანია მიღწეულია. მაგრამ აკი ეხლანდელი პრემიერი გამოვიდა ლოზუნგით: „ჯერ დაწყნარება, მერე რეფორმები!‘‘ და თუ იგი დღეს ასპარეზს მიატოვებს, გამოვა, რომ მართალი ყოფილა ოპოზიცია, როცა მინისტრის ლოზუნგს ასე განმარტავდა: ,,ჯერ დაწყნარება, მერე რეაქცია!‘‘ ამით გამომჟღავნებული ხდება პოლიტიკის კურსი: უკან, ძველი რეჟიმისაკენ! პრემიერი კი კონსტიტუციის განხორციელებას აპირებდა... ეს მისთვის მხოლოდ ,,შჩეპეტილნობის‘‘ საკითხია, და ამასაც იგი დიდ მნიშვნელობას არ უნდა აძლევდეს. აკი მან დუმის ტრიბუნიდანვე განაცხადა: როცა სახელმწიფო სახლს ცეცხლი ეკიდება, კანონსა და სამართალზე ლაპარაკი უადგილოა, ცეცხლის გასაქრობათ შუშები ჩაიმტვრევა და თუ მდგმურებიც აწიოკდებიან, ეგ რა ჩვენი ბრალია... მაშ სტოლიპინს თამამათ შეუძლიან დარჩეს თავის პოსტზე, შეუძლიან აგრეთვე დასასვენებლათ მიბრძანდეს. ამით არაფერი შეიცვლება. სახელმწიფოს კურსი თავისთავად აღნიშნულია. დღევანდელ მესვეურთა ხელში საკონსტიტუციო რეფორმის გატარება დატანჯულ ხალხის მწარე დაცინვა გამოდის.

დუმის ,,ხელმძღვანელი‘‘ პარტია—ოქტომბრისტები, რაც დრო მიდის, უფრო მეტ ლაჩრობას, მეტ პოლიტიკურ უილაჯობას და არარაობას იჩენენ. მათი სიტყვა და საქმე ზიზღს იწვევს პროგრესიულ ფართო წრეებში. თვით ზოგიერთ ოქტომბრისტებს, ბარ. მეიენდორფის მეთაურობით, თავისი ფრაქცია ეთაკილებათ და ამ ბოლო დროს თავისი ხმა მისცეს ოპოზიციას. სამაგიეროთ, რაც დრო მიდის, მემარჯვენენი და ყველა შავრაზმელები უფრო მეტის თავხედობით წინ მიიწევენ დუმაში და მის გარეთაც მეტ წყალობა-დახმარებას იღებენ ,,ბატონებისაგან‘‘. მათ უკვე სადღესასწაულო ჩარბუზანა აქვთ ჩაბმული. მაგრამ პოლიტიკის აღნიშნული კურსი უფრო აღრმავებს და აფართოვებს სახელმწიფოს კრიზისს და ამის შედეგებიც ძველი რუსეთისათვის უფრო მკაცრი და ულმობელი იქნება. ამიტომაც სტოლიპინის გადადგომის ხმებმა და პურიშკევიჩების გამინისტრების მოლოდინმა პანიკა გამოიწვია ოქტომბრისტებში და ,,მირნოობნოვლენცებში‘‘, შიში რამოდენათმე კადეტებზედაც-კი გავრცელდა... ხალხი? იგი საიდუმლოებითა სდუმს და ამ დუმილშია გასაღები მთელი სახელმწიფო ვითარებისა. მშრომელ ხალხსარფერი აქვს საშიში. მომავალ მკაცრ ბრძოლაში მას არაფერი აქვს დასაკარგი. მას ყველაფერი დაკარგული და წართმეული აქვს. მისი უმცირესი უფლებებიც ფეხ ქვეშ არის გათელილი. იგი ამ სახვალიო ბრძოლაში დაჰკარგავს მხოლოთ საკუთარ პოლიტიკურ მონობის სამარცხვინო ბორკილებს და შეიძენს ადამიანის და მოქალაქის უფლებებს...

ბოჰემიის ბალადა

(მ. მაზელის)

ყველიერის კვირა იყო...
ბოჰემიამ იგრძნო შვება,—
შეასრულა ძველი დროის
წეს-რიგი და ჩვეულება.

ბოჰემიის მეფეს სურდა
განეფანტა ფიქრი მწარე,—
ქეიფობდა, მაგრამ მაინც
იყო მეტად მგლოვიარე.

გულს უღრღნიდა გვირგვინოსანს
სევდა, დარდი და ნაღველი,—
რაც მოშორდა ჩუმად თვისი
პირმშო შვილი—საყვარელი—

და შორს სადღაც გადიკარგა,
მიატოვა მშობელთ კერა...
სწუხდა მეფე,—არ დასცალდა
ძის—მემკვიდრის კვალად ცქერა.

ხშირად იგი სრა-სასახლეს
მწარე ცრემლით ასხურებდა;
ტანჯვით სავსე გულის ფიცარს
ოხვრა-კვნესით ახურებდა...

მუსიკა კი მელოდიურ
ხმებს აფრქვევდა არე-მარეს,
მაგრამ მეფეს ვერ ართობდა—
შვილზე მწუხარ-მგლოვიარეს.

თვალთა მისთა შემოხედვა
წამების ზღვას წააგავდა
და დაფარულ ტანჯვის მორევს
უტყვად გულში ინახავდა...

... ბოჰემიის მკვიდრთა შორის
იყო ერთი ჩვეულება:
სასახლეში მათ უშვებდენ,
იმათ ჰქონდათ მხოლოთ ნება,

ვინც რომ თვისი პირისახე
ნიღაბ-ბადეს მოაფარა,
ან სხვა რამე მანქანებით
მოიკაზმა, დაიფარა...

ვითა ძველად—სასახლეში
ლხინი იყო გამართული...
ოქროს ტახტზე იჯდა მეფე
თვალ-ალმასით მოკაზმული.

ის მალი-მალ ჭიქას ხელში
აიღებდა, გადაჰკრავდა
და ამრიგად მწუხარებას
შიგ აღრჩობდა, შიგ აკლავდა.

მის ირგვლივ კი ნიღბოსანთ
ალყა ჰქონდათ შემორტყმული:—
მონა-მლიქვნელთ საჩუქრისთვის
უძგეროდათ მხოლოდ გული...

და... ამ გროვას გამოეყო
ერთი ნიღაბ-მოხვეული,—
მყის მიიჭრა ხელმწიფესთან,
უთხრა სიტყვა გაბედული:

„თვითმპყრობელო! შენ არ გტანჯავს
ბოჰემიის ერის ვნება,—
მისი წმინდა იდეალი
შენგან ფეხ-ქვეშ ითელება.

მთელ ქვეყანას ბრძოლის ალი
მოსდებია, აღარ ჰქრება...
ხალხი შენგან წამებული
შენს ოქროს ტახტს ემუქრება!..

შენ კი ზიხარ არხეინად—
ბოჰემიის ცრუ მფლობელი,
გარს გარტყია ნიღბით გროვა
სუმლდაბალი, ულმობელი.

გარყვნილება და ალერსი
მათი გიტკბობს ბოროტ სულსა,—
უხვად, უხვად ასაჩუქრებ
ნიღაბს—ოქროს მონატრულსა.

მეფევ! გირჩევ ეხლა მაინც
შეინანო შენი ცოდვა,—
თორემ გვიან დაგირჩება
სინანული, კვნესა-ბოდვა!

გეფიცები, საცა ტახტზე
ნადირია წამომჯდარი,—
ხალხი მუდამ შურს იძიებს...
დაგენგრევა საბუდარი!..“

მეფე რისხვით გაცეცხლებული
წამოვარდა ხელად ზეზე
და, ვით ლომი—წაიწია
თავის შემრცხვენ-მეტოქეზე.

უმოწყალოდ ბეჩავს მკერდში
მან მახვილი დააძგერა...
ზე-წამოდგა მომღიმარე—
რაკი გული მოიჯერა.

და დაცინვით ჩამოხადა
ბადე—სახის დამფარავი...
. . . .
მაგრამ... ნახა... ღვიძლი შვილი
სულთმობრძავი,—მომაკვდავი!

ლ. დარჩია

ობროდობის საუცხოვო ნიმუშები

მესამე ნიმუში.

ჩვენი ჯანაოზი „ფილოსოფოსი“ სადა მსჯელობას არ არის ჩვეული. იგი მუდამ მეცნიერების სახელით ლაპარაკობს და თითქმის ყოველ ნაბიჯზე იმოწმებს ამა თუ იმ მეცნიერებას; მაგალითები მოჰყავს ქიმიიდან, მედიცინიდან—ამ უკანასკნელს უფრო ხშირათ იმოწმებს—და ასე გაშინჯეთ, ზედ მიწევნით ჰქონია შესწავლილი „სპირიტუალიზმი, პლაზმა, დარვინის თეორია და სხ.“; თუმცა ამათ შესახებ თავის ცოდნას ჯერ-ჯერობით არ გვიმჟღავნებს. იგი სწერს: „მეტათ მიმაჩნია კამათი სპირიტუალიზმის, პლაზმის, დარვინის თეორიის და სხ. შესახებ, რადგან ამ ხანად არც ერთი ეს საკითხი არ მაინტერესებს..“

დიდად სამწუხაროა; ბ-ნი ვ. წ. რომ ამ საკითხებით დაინტერესებულიყო, ვინ იცის მაშინ რამდენ ხელისხელ საგოგმანებ სიბრძნეს გვამცნებდა, მაგრამ ნუ ვიქნებით ხარბი და ვიკმაროთ, რასაც იგი ამ ხანად გვამცნებს.

ვნახოთ როგორ გამოიყენა მან ქიმია და მედიცინა.

ონი უარჰყოფდა იმ აზრს, ვითომ ნაციას ჰქმნიდეს საერთო ჩამომავლობა, ერთი გვარტომობა და მიგვითითებდა იმ ფაქტზე, რომ „დღეს აღარ მოიპოვება თითქმის არც ერთი ნაცია, რომლის შემადგენელ ადამიანთ ძარღვებში არ ედგას სხვა და სხვა მოდგმის სისხლი.“ ამის გაგონებაზე ვ. წ. წარბ შეჭმუხვნით ეძახის: „შესდექ!.. მერე ეს რა საბუთია?!.. ვინც ქიმიის ანბანი არ იცის, ის ვერ იქნება მოაზრე!“ ნეტა აქ რა შუაშია ქიმია? იკითხავს გაოცებული მკითხველი. ვ. წ. განმარტავს: „წყალში (N 20) და გადამჟავებულ წყალბადში (N 202) ერთი და იგივე შემადგენელი ელემენტებია, მაგრამ ამ ორ ნივთიერებას შორის დიდი განსხვავებაა, რადგან გადამჟავებულ წყალბადში მოჭარბებულია მჟავბადი. დიაღ... საქმე ის კი არ არის, რომ თითეულ ერს სხვა და სხვა წინაპრები ჰყოლია, არამედ **ის არის სამნიშვნელო**, ვინ იყვნენ ეს წინაპრები და **რომელი** წინაპრის **სისხლი სჭარბობს.**“ აი თურმე როგორ ყოფილა საქმე. აბა ამას შემდეგ მოდით და ნუ დაუჯერებთ ვ. წ., რომ ქიმიის დაუხმარებლივ არ შეიძლება „იაზროვნო“ ნაციის შესახებ. მაგრამ... თვითონ ვ. წ.-ივე არღვევს თავის „ქიმიას“. იგი აღიარებს, რომ „რაც შეეხება გერმანელს, მართალია, სლავიანის სისხლი ურევია ჭარბად“, და რომ გერმანელი მაინც არ ეკუთვნის სლავიანის ნაციას, ეს, ვგონებ, ვ. წ.-საც ეცოდინება. ამ ბატონის ობროდობა რომ კიდევ უფრო ნათელ ვყოთ, დავასახელებთ ასეთ მაგალითს: მამა რუსია, დედა სომეხია, შვილი კი, რომლის ძარღვებში, შეიძლება, არც ერთი ტომი ქართველის სისხლი არა სდგას, ეს შვილი ეროვნების მხრივ უფრო ქართველია, ვინემ რუსი ანუ სომეხი. ასეთი და მსგავსი მაგალითების ასახსნელათ, ცხადია, ქიმიის ვერც ანბანი და ვერც მთელი ტომები ვერას გვიშველის. სისხლის, შთამომავლობისა თუ მემკვიდრეობის მნიშვნელობას ჩვენ მაინც არ უარვყოფთ. მემკვიდრეობით ადამიანები, უეჭველია, ერთმანეთს გადასცემენ ხოლმე ფიზიკურ ორგანიზაციასთან ერთად ფსიხიურ მიდრებილებებსაც, მაგრამ ადამიანის ინდივიდუალობის შექმნაში კი გადამწყვეტი მნიშვნელობა სულ სხვა პირობებსა აქვთ. ასევე ითქმის მთელ ეროვნებაზე. გვარტომობას უეჭველათ ჰქონია თავისი მნიშვნელობა, მაგრამ ყოფილა და არის ეროვნების უდიდესი „ფაქტორი“, რომელიც სჩრდილავს და აბათილებს „სისხლის“ მნიშვნელობას. და ეს „ფაქტორი“ სძევს ქიმიის სრულიად გარეშე, იგი სავსებით ეკუთვნის სოციოლოგიას. ვინც ამ უკანასკნელის ანბანი არ იცის, ის ძნელათ გასცილდება ვ. წ.-ის ...აზროვნებას.

ვ. წ. ძალიან უდარდელია სოციოლოგიის შესახებ მას ამ მეცნიერების ანბანიც არა სჭირდება ეროვნების ცნების გასაგებათ. იგი სწერს: „ფრანგი ისეთივეა ახლაც, როგორცა ჰყავს აღწერილი იულიოს კეისარსა; განსხვავება **მხოლოდ** ის არის, რომ სახელად ერქვა გალლი...“

გამოდის რომ, მაგ. ის ვ. წ., რომელიც ჯერ კიდევ ხოჭიჭში ფოფინებდა და ვ. წ., რომელიც საპოლემიკო წერილებს სწერავს, მხოლოთ იმით განსხვავდებიან ერთი მეორისაგან, რომ პირველს ჯერ კიდევ არ ვცნობდით მეორის სახელწოდებით... დაე ასე იყოს, თუმცა ეს ვერაფრათ სასახელოა ვ. წ.—სათვის.

ვ. წ. განაგრძობს: „ამას გარდა, ავტორი (ე. ი. ონი) რომ ბრძანებს ფრანგს „ბრიტტის“ სისხლი ურევიაო, ძველი „ბრიტტი„ და გალლი ერთისა და იმავე მოდგმის არ იყვენ?!.. დაგვრჩა რომაელი.. ამისი სისხლი კი უთუოდ სდის ფრანგს ძარღვებში, რადგან რამდენიმე ასი საუკუნე გალია ხელში ეჭირათ რომაელებს. მაგრამ განა რომაელის და გალლის შვილი და გერმანელისა და სლავიანის შვილი ერთია?!.“

სწორეთ საცოდაობაა. უნდა გამოვიხსნათ

ვ. წ. ამ გასაჭირისაგან. ონის ზემოხსენებულ ციტატაში სიტყვები „მოდგმა“, „გვარტომობა“ და „ჩამომავლობა“ ერთისა და იმავე მნიშვნელობით არის ნახმარი. მაშასადამე სიტყვა „მოდგმაც“ უდრის იმავე ცნებას, რასაც ფრანგი ეთნოგრაფები აღნიშნავენ ტერმინით: „la famille“ და გერმანელები—ტერმინით „Abstammunv“. ამ ცნებების მხრივ „ძველი ბრიტტი და გალლი“ უეჭველათ სხვა და სხვანი არიან—თუ კი დაუჯერებთ მეცნიერებას,—ხოლო რასიულათ იგინი ერთნი არიან. აგრეთვე ზემო აღნიშნული ხალხნი. ყველა ეს ბრიტტები, გალლები, რომაელები, გერმანელები, სლავიანები და სხ. ეკუთვნიან ერთსა და იმავე ინდო-ევროპიულ რასას. მაგრამ როგორც la famille ანუ Abstammunv (გვარტომობა, ჩამომავლობა) იგინი სხვა და სხვანი არიან. აგრეთვე სხვა-და-სხვანი არიან ეროვნულათაც, მიუხედავათ იმისა, რომ ისტორიის განმავლობაში „სისხლით“ ისინი არა ერთ გზის არეულან ერთმანეთში. ბ-ნი ვ. წ. რომ არ დაკმაყოფილებოდა ქიმიის ანბანს და კიდევ სხვა მეცნიერებათა ანბანიც შეესწავლა, იქნება მაშინ ეცოდინებოდა, რომ გვარ-ტომობა (la famille), რასსა და ეროვნება სრულიად სხვა და სხვა ცნებაა და იქნებ მაშინ ამ სრულიად სხვა და სხვა ცნებებს იგი ერთმანეთში დომხალივით აღარ აურევდა.

მეოთხე და დანარჩენი ნიმუშები.

ბ-ნი ვ. წ. ჩივის, რომ ონი უარჰყოფს იმ აზრსაც, ვითომ ნაციის. ნიშნობლივ, დამახასიათებელ თვისებას, ნაციის არსებას შეადგენდეს ხალხის ეროვნული თვითშეგნება და ანუ საერთო ნება-სურვილი. მაგ. სურვილი ერთად ყოფნის, ერთად ცხოვრების,—ერთსა და იმავე სახელმწიფოში *). მაგრამ აქ ერთი ინცინდენტური შენიშვნა. ვ. წ. სწერს: „აქ არ შემიძლია არ აღვნიშნო ერთი ფაქტიური შეცდომა ავტორისა (ე. ი. ონისა). ამისი ფიქრით დღეს რუსეთის სახელმწიფოში არც ერთი ერი „არ ესწრაფის განცალკევებას, საკუთარ სახელმწიფოს დაარსებას“. ამას რომ ამბობს, პოლონეთი მაინც როგორლა ავიწყდება!“ ნამდვილათ კი ონს არც პოლონეთი და არც საქართველო არ ავიწყდება. საქმე მხოლოდ ის გახლავთ, რომ რუსეთის საერთო განმათავისუფლებელ მოძრაობის ზეგავლენით თვით პოლონეთში სეპარატისტული მიმდინარეობა სრულიად მიიჩქმალა, ცალკე სახელმწიფოს დაარსების სურვილი მოისპო და ყველამ, უკიდურეს მემარჯვენეებიდან სოციალდემოკრატებამდე, ყველა პარტიებმა წამოაყენეს ერთი და იგივე მოთხოვნა—ავტონომია. ჩვენ არავითარი საბუთი არა გვაქვს ვიფიქროთ, ვითომ ვ. წ.-ს ავტონომიის განხორციელება ეჩვენებოდეს ცალკე სახელმწიფოს დაარსებათ, როგორც ესა სჩვევიათ შავ-რაზმელებს, და როგორც ამას, სამწუხაროთ, ალბათ პოლემიკურ გატაცებით გამოსთქვამდა ამხ. ჩხენკელი *). მაშ ვ. წ. იგულისხმებს ნამდვილ სეპარტიზმს, ეს კი, ვიმეორებთ, თვით პოლონეთში გაჰქრა „მოძრაობის“ ზე-გავლენით. მართალია, აღსანიშნავია ისიც, რომ შემდეგში, როცა გამძლავრდა შავი რეაქცია, რამაც მრავალი ილიუზიები დაამსხვრია, დაჩაგრულ ერებში კვლავ თავს იჩენს სეპარატისტული მიდრეკილებანი, მაგრამ ეს ერთი წლის წინათ, როცა ონის ხსენებული წერილები იბეჭდებოდა, სრულიად უჩინარი იყო და დღესაც კი სეპარატიზმი, როგორც თვალსაჩინო პოლიტიკური მიმდინარეობა, იმპერიის არც ერთ კუთხეში არ იპოვება. ასე გასინჯეთ, დღესაც, როცა პოლონელთა ერს „ბატონები“ „ნაგავათ“ იხსენიებენ და მენშიკოვები მუქრდლათ იმუქრებიან „პოლონეთს 8 მილიარდათ მივყიდით ნემცებსო“, დღესაც თვით პოლონეთის ნაციონალისტები ამაზე აცხადებენ: ჩვენ რუსეთის სახელმწიფოში გვინდა დარჩენა, მხოლოდ ავტონომიას ვესწრაფითო.

ამ რიგათ, ბ. ვ. წ. „ფაქტიურ შეცდომის აღსანიშნავათ“ ტყუილათ გარჯილა. მაგრამ დავუბრუნდეთ საგანს.

ბ. ვ. წ.-ის ჩივილი გოდებათ ხდება, როცა იგი რწმუნდება, რომ ონი ყველა „ელემენტებსა“ და „ფაქტორებს“ ერთად აღებულსაც აღარა სთვლის ნაციის არსობის შემადგენელათ. აქ ვ. წ. მთელ თავის ძალღონეს იკრებს, მთელ თვის სამეცნიერო „არტილერიას“ ამოძრავებს და ონის შეხედულე-

*) ვ. წ. იმასაც ჩივის, ვითომ ონი ერის შექმნის პროცესში არავითარ მნიშვნელობას არ აძლევდეს საერთო ისტორიას, თავგადასავალს, საერთო ჭირსა და ლხინს, საერთო ბრძოლის გარეშე მტერთან და სხ. არაფერი ამას მსგავსი ონის ნაწერებში არ იპოვება. იქ გამოთქმულია სულ წინააღმდეგი აზრი. მაგრამ ამაში ვ. წ. აღარ გამოვეკიდებით, რადგან მისი ამგვარ ობროდობის ნიმუში უკვე პირველ წერილში მოვიყვანეთ.

*) ა. ჩხენკელმა მოხსნებული შეუსაბამო აზრი გამოსთქვა უკანასკნელ თავის ფელეტონში „ჩვენ კვალთან“ კამათის დროს, როცა იგი ბაკურით შეეხო ჩვენებურ სოც. ფედერალისტებს. ა. ჩხენკელის ამ ფელეტონებს ჩვენ ბავიხილავთ „იალქანის“ შემდეგ ნომერში.

ლ. კანდელი.

ბასა და საბუთებს „ანადგურებს“ ასეთი იერიშით: „ავტორს (ონს) რომ მედიცინა ჰქონოდა შესწავლილი (უნებურათ გვაგონდება ცნობილი იგავარაკი. ლ. კ.), ეცოდინებოდა, რომ... სახადს (სწორეთ ასე. ლ. კ.) ახასიათებს: 1) აპატიური, „მივარდნილი“ მდგომარეობა, 2) სიცხის თანდათანობით მომატება და დაკლება და სიმუდმივე, 3) ტყირპის დადიდება“, და სხ. და სხ... ვ. წ.-აგან ეხლა, ალბათ, არაფერი გაუკვირდება მკითხველს, მაგრამ ჩვენ მაინც მცირე ხანს კიდევ ვითხოვთ მის თავაზიან ყურადღებას. ბ. ვ. წ. დაწვრილებით აღწერს სახადის ნიშნებს და მერე დაასკვნის: „სწორედ ასეა საქმე ეროვნული საკითხის შესახებაც. თითეული ხსენებული ფაქტორი კარდინალურია, ძირითადია. შეიძლება ერთი მათგანი არ არსებობს, მაგრამ თუ დანარჩენები არიან, —ერიც არის. მაგ. შეიძლება რომელსამე ერს ენა დაჰკარგოდეს, მაგრამ თუ თავის ტერიტორია აქვს, განსხვავებული შთამომავლობა და სხ., მაშინ ნება გვაქვს იგი განსაკუთრებულ ერად ვაღიაროთ... სახადიანს ხანდახან ტყირპი არ უდიდდება, მაგრამ არც ერთ ექიმს არ მოუვა თავში თქვას, რომ ტყირპის გადიდება არ არის კარდინალური, არსებითი ნიშანი სახადისაო.“

ანალოგიით მსჯელობა, რა თქმა უნდა, დასაძრახისი არ არის, მაგრამ მხოლოდ მაშინ, როცა ამ მეთოდს რიგიანათ ხმარობენ. ეს არ ითქმის ვ. წ.-ზე, რადგან მისი ანალოგია, მეტი რომ არა ვთქვათ, ერთიანათ სცილდება თავის მიზანს... პათოლოგია სპეციალურათ არ გვისწავლია, მაგრამ ის კი ვიცით, რომ არც ერთ სინდისიერ ექიმს „არ მოუვა თავში“ ხელი მოჰკიდოს ავადმყოფის რჩენას, თუ კი მას არ ესმის ავადმყოფობის შინაგანი ვითარება და არ გაეგება მისი წარმოშობის და განვითარების პროცესი. ავადმყოფობის მხოლოდ გარეგან ნიშნებზე ემყარებიან მარტო სოფლის მკითხავები (მარჩიელები). ასე იქცევა ვ. წ.-ც. ექიმი კი ასე ვერ მოიქცევა, რადგან ავადმყოფობის გარეგანი ნიშნები („აპატია“, „სიცხე“ „ტყირპი“, „ერთგვარი წინწკლები“ და სხ.) ცვალებადია და ხშირათ ორ სრულიად სხვა და სხვა ავადმყოფობას ერთი და იგივე გარეგანი ნიშნები აქვს. ასეთ საფუძველზე დამყარებული დიაგნოზი იშვიათად იქნებოდა მართალი, და რომ ვ. წ.-სათვის ბედს ექიმობა ერგუნებინა, ცხადია, იგი არა ერთ პაციენტს გაამგზავრებდა საიქიოსკენ. სულ სხვაა, როცა გვესმის საგნისა თუ მოვლენის არსება, ვიცით მისი კარდინალური დამახასიათებელი თვისება. ამ შემთხვევაში ძნელია შეცდომა. ავიღოთ მაგალითი იმავ მედიცინიდან,—რაკი ეს ვ. წ., რაღაც მიზეზით, უფრო მოსწონს. თუ ფილტვებით ავადმყოფს აღმოაჩნდა კოხის ბაცილები, შეუმცდარათ შეგვიძლიანთ სთქვათ, რომ იგი ჭლექიანია. რათა? იმიტომ რომ კოხის ბაცილები არსებითი დამახასიათებელი თვისებაა ჭლექისა. ვ. წ.-მა ისიც არ იცის თუ რასა ჰქვიან არსებითი თვისება. ამიტომ უნდა განვუმარტოთ, რომ **არსებითი** ეწოდება მხოლოდ ისეთ თვისებას, ურომლისოდაც ესა თუ ის საგანი ანუ მოვლენა **არ არსებობს**. ამასთანავე, თუ აღმოჩნდება საგანთა ან მოვლენათა თუნდ ერთი ისეთი ეგზემპლიარი, რომელსაც არ მოეპოვება მის კატეგორიისათვის ჩვენ მიერ აღიარებული არსებითი თვისება, მაშინ ეს უკანასკნელი აღარ ჩაითვლება ასეთად. მაგ. დღემდის ქიმიკოსები ფიქრობდენ, რომ ელემენტების გარდაქმნა შეუძლებელია, რომ ატომი გაუნაწილებელიაო. ეს თვისებანი კარდინალურათ, არსებითად იყვენ ცნობილნი. მაგრამ რაკი ეხლა რადიოლოგია, რადიოაქტიობის მოვლენათა გამოკვლევანი აშკარათ გვიჩვენებენ ელემენტების გარდაქმნას, აშკარათ ანაწილებენ, არღვევენ ატომს (რადის ანუ ურანის, აქტინის, ტორის ატომს) „კორპუსკულებათ“ (უმწვერვალეს ნაწილებათ) დღეს მეცნიერება იძულებული ხდება აღიაროს, რომ გარდაუქმნელობა ელემენტებისა და დაურღვეველ-დაუნაწილებლობა ატომებისა არ არის მათი კარდინალური, არსებითი თვისება.

ამ თვალსაზრისით თუ შეხედავთ ეროვნებას, ლოღიკის ძალით, უნდა მივიდეთ იმავე დასკვნაზე, რასაც გამოსთქვამს ონი თავის წერილებში. სახელდობრ, აღნიშნული „ელემენტები“ და „ფაქტორები“ (განსაკუთრებული ენა, ერთიანი ტერიტორია და სხ.) თუმცა უაღრესათ მნიშვნელოვანნი არიან ერის წარმოშობა,-განვითარების პროცესისათვის, მაგრამ ისინი მაინც არ წარმოადგენენ ერის არსებით თვისებას, არ შეადგენენ ნაციის არსებას. ასეთად ონი აღიარებს მხოლოდ ნაციის განსაკუთრებულ ბუნებას, მის ნაციონალურ ხასიათს.*) ამ აზრს არ ეთანხმება ვ. წ., იგი მთელ თავის წერილში ცდილობს მის დარღვევას, ხოლო წერილის ბოლოს კი, ონის მიერ გამოთქმულ ნაციის განმარტებას, იგი მოულოდნელად, აქსიომათ

---

*) შესაფერი ადგილი ვ. წ. ძალიან აბრუნდულათ მიაჰყავს და შეუწყნარებლათ მიედ-მოედება. მაგრამ ამას აღარ გამოვეკიდებით. ვისაც საგანი ეინტერესება, ის წაიკითხავს ონის ხსენებულ წერილებს და თვითონვე ადვილათ დააფასებს ვ. წ.-ის ლათაიებს.

აღიარებს. „ხსენებული განმარტება—აცხადებს ვ. წ.—პიტალო ტავტოლოგია არის. რა არის ერი? —ერი არის ერი.“

სწორეთ განუზომელია ვ. წ.-ის ობოროდობა!

ვ. წ.-ს მეორე „კარდინალური, ძირითადი თვისება“ ის არის, რომ „სიტყვა-პასუხი მეკეხე აქვს“ და იგი ონისადმი გახელებულ-გაბრაზებულია. იგი სწერს: „ავტორს (ონს) პირადათ ვერ ვიცნობ, მაგრამ დარწმუნებული ვარ სემინარიელი უნდა იყოს*).. პოლიტიკური ზნეობის მხრითაც არა დგას მაღლა.“

ვ. წ. ასე იხსენიებს ონის პოლიტიკურ ზნეობას მხოლოდ იმიტომ, რომ ონი კრიტიკულათ შეეხო „ნაციონალურ პროგრამას“ იმავ პარტიისას, რომელსაც თვითვე ეკუთვნის, რომ იგი არ კმაყოფილდება იმით, რაც დღემდე იყო პარტიაში ეროვნულ საკითხის შესახებ და ცდილობს ამ საკითხს ჯეროვანი ადგილი დაეთმოს, ცდილობს შემუშავებულ იქმნას სათანადო ნაციონალური პროგრამა. წინათ კი და ეხლაც ონსა და იმის ამხანაგებს „ვინწილები“ და სხვა ნაციონალისტები სწორეთ იმას გვიფლიდენ უზნეობათ, რომ ასე—როგორც დღეს ონი—არ ვიქცეოდით. ასეთი არის, ყოფილა და იქნება ჩვენ პოლიტიკურ მოწინააღმდეგეთა ზნეობა.

მაგრამ ჩვენ მაინც გვინდა ვიფიქროთ, რომ ვ. წ.-თან კიდევ მოგვეპოება ზნეობის რაიმე საერთო ცნება და ვფიქრობთ—რაკი ვ. წ.-ს პირადი ცნობა არა ჰქონია ონისა, მაგ მისი გაბრაზებაც საზოგადოებრივ ხასიათისა უნდა იყოს. ალბათ მას წარმოუდგენია, რომ თუ ნაციაზე ონის თეორეტიულ შეხედულებას მივიღებდით, მაშინ პრაქტიკულად ამას მოჰყვებოდა ერის უფლებათა დამცირება. ნამდვილათ კი მართალი არის წინააღმდეგი. ონის შეხედულებიდან ის დასკვნა გამომდინარეობს, რომ საკმაო არ არის უზრუნველ-ჰყოთ ერის ენა და ტერიტორია, საჭირო არის უზრუნველ-ყოფილ იქმნას ნაციის მთელი არსების თავისუფალი გამოხატვა და განვითარება ცხოვრების ყველა სფერაში. (სოციალ-პოლიტიკურ-ეკონომიურ-იდეოლოგიურ სფერაში. ონის თეორეტიულ შეხედულების აუცილებელი პრაქტიკული დასკვნაა ეროვნულ თვითგამორკვევის უფლების უზნეაესობა. და ეს აზრი უდევს ქვა-კუთხედად იმ ნაციონალურ პროგრამას, რომლის საერთო მოხაზულობა გარკვევით გამოთქმულია წერილებში „გზადა გზა“ (იხ. „ჩვენი კვალის“ №№).

მაგრამ ვ. წ. საშინლათ არ მოსწონს ონის სწორეთ „პრაქტიკულ-პოლიტიკური გეგმა.“ მისი გაბრაზება სწორეთ ამ გეგმის წაკითხვაზე აღწევს უმაღლეს წერტილს. ვ. წ., სხვათა შორის, ასე დრტვინავს: „ამ გვარად ჩვენი სოციალური კანონმდებლობა, ჩვენი ბედი და უბედობა, ჩვენი მომავალი თითრეს უნდა ჩავუგდოთ ჩვენისავე ნებით ხელში! ასეთია ახლად მოვლენილი ავტონომისტების პოლიტიკური იდეალი.“

ვ. წ.-ს ან სულ **აღარ შესძლებია** ქართულად დაწერილის გაგება და ან **არ უნდა** ჩვენი გაიგოს რამე. ორივე შემთხვევაში ამაო არის მასთან კამათი. გამომშვიდობებისას იმასაც ვეტყვი, რომ თუ როდისმე დაინტერესდება ჩვენი ნაციონალური პროგრამით, ამისი განმარტება სთხოვოს ბ-ნ ალაროდიელს („ნიშადურში“ მეთაურებს რომ სწერდა.). il en sait quelque chose (იმას ეს პროგრამა კარგათ მოეხსენება) ბ-ნი ალაროდიელი, რა მოისმენს ვ—წ-აგან „ჩვენი კვალი“-ს ნაციონალურ პროგრამაზე დადებულ მსჯავრს, ალბათ არ უღალატებს სამართლიანობის გრძნობას და ალალათ ეტყვის ვ. წ.-ს: „არაფერათ ჩვენ ვარგივართ, ძამიაკ!“

ლ. კანდელი.

*) რათა სემინარიელებმა საწყენათ არ მიიღონ მათი საწელის სალანძღვა სიტყვათ ხმარება, ვ. წ.-ს საბოდიშოთ უნდა შევნიშნოთ, რომ ამ ბატონს სემინარიელი სძულს მხოლოდ იმიტომ, რომ საქართველოში მარქსისტულ მიმდინარეობის მესვეურთა უმეტესობა, სხვათა შორის, სემინარიაშიც სწავლობდა.

ლ. კ.

დემონი ხარხარებს...

სქელი ღრუბელი, ტყვიისა ფერი,
ცას გადაჰკვრია წყვდიადის რიდეთ
და ნისლთა ჰაოსი თავს დასტრიალებს
არე-მიდამოს, კიდითი-კიდეთ.
არევ! მითხარი, გამაგებინე,
მარქვით, ჩრდილებო მაღალის მთების,—
რაა მიზეზი ჩემს გარეშემო
ამ წყვდიადის და ამ მდუმარეობის?!.
—„ტალღა გაჰყვება პირველს—მეორე,
ამათ—მესამე, ისას—კიდევ სხვა,
უსაზღვრო ხდება მათი სიგიჟე
და ველარ იქერს თავს უძირო ზღვა.
მაგრამ, როს იკლებს იმათი ძალა,
ტალღა წყნარდება, ზღვა არ ხანზარებს,
მაშინ ქუეყნიერ ჩნდება დემონი:
უმზერს ზღვის სივრცეს, თანაც ხარხარებს...

ხარხარებს... უვლის კიდე-ნაპირებს,
ზვირთთ ნამოქმედარს თვითონ ასწორებს;
მყის ხმას ჩაუმენდს იგი ყოველსა,
წყვდიადი მოაქვს, მზეს მოგვაშორებს!..“
... მისუსტებულხარ, ცხოვრების მაჯავ!
ვერ სძგერ თამამად და ჰკენესი გულო!,
ფრთა მოგიწურავთ, კრიჰა შეგკერიათ
იმედო, სიმხნეე და სიხარულო!!!
ღრუბელთ გადადმა მზე გატრუნულა,
თვის ცხოველ სხივებს აღარ მაკარებს;
გარშემო ბნელა! რაღაც ხმა ისმის...
ეგ დემონია! იგი ხარხარებს!..

ნ. ზომლეთელი.

უტოპისტები და მარქსის მოძღვრება

V

ფურიეს ფალანსტერმა დიდი გავლენა იქონია იმის თანამედროვე ლუიბლანზე, რომელიც თავის ნაწარმოებში უმთავრეს ყურადღებას შრომის მოწესრიგებას, ორგანიზაციას აქცევდა. ლუიბლანი ერთ დროს კიდეც ცდილობდა, პარიზში ოთხი ფალანსტერის მზგავსი შენობები აეშენებია; ყოველ შენობაში უნდა დატეულიყო ოთახსი მუშა თავთავისი ოჯახით; სადგომები უნდა ყოფილიყო რიგიანათ მოწყობილი, უნდა ჰქონოდათ საერთო სადილ—ეახშამი, საერთო განათება და სხვ. მაგრამ ლუიბლანის განძრახვანი არ განხორციელდენ.

ლუიბლანი დაიბადა წარსულ საუკუნის მეოცე წლებში. განათლება მიიღო პროვინციის ერთ ქალაქში, და გაათავა თუ არა სწავლა, მაშინათვე მწერლობას შეუდგა. პროვინციიდან გადმოსახლდა პარიზში და დაიწყო თანამშრომლობა ადგილობრივ გაზეთებში. მან მალე მიიქცია საზოგადოების ყურადღება და მეორმოცე წლებში დააარსა საკუთარი გაზეთი; ამის შემდეგ გამოსცა ორი თხზულება: „შრომის ორგანიზაცია“ და „ათი წლის ისტორია“, რითაც მან სახელი გაითქვა მთელ საფრანგეთში და, განსაკუთრებით, მუშების სიყვარული დაიმსახურა.

ლუიბლანი თავის ნაწერებში ღრმად დარწმუნებულია, რომ მსხვილი წარმოება აუცილებელ პირობას შეადგენს საზოგადოების კეთილდღეობისათვის. დღეს თუ მსხვილი წარმოება არსებობს და მიუხედავათ ამისა უმეტესი ნაწილი ღატაკია, იმიტომ რომ წარმოებაში სრული ანარქია არსებობს. კაპიტალი და საწარმოვო საშუალებანი კერძო პირთა ხელშია, ისინი ერთი მეორეს ექიშპებიან. ყოველი კაპიტალისტი არავითარ საშუალებას და უსინდისობას არ ერიდება, რომ მეორე გაკოტროს და თვითონ გახდეს ბატონათ ბაზარზე. სანამ წარმოება ამგვარ პირობებში იქნება, საზოგადოებაში მშვიდობიანობისა და კეთილდღეობის დამყარება შეუძლებელია. ამიტომ საჭიროა წარმოების მოწესრიგება, შრომის ორგანიზაცია. ლუიბლანი მოგვითხრობს, რომ საზოგადოება სხვა და სხვა კლასებიდან შესდგება; ამ კლასთა შორის ქიშპობაა, ისინი ერთმანეთს ებრძვიან. ახალი წყობილების დასამყარებლათ ამ ბრძოლის გაღრმავება და გამწვავება კი არ არის საჭირო. ლუიბლანი მტერია კლასთა შორის ბრძოლისა,—მისი აზრით, საჭიროა სხვა და სხვა კლასების შეთანხმება. შრომის მოწესრიგება და პროლეტარიატისა და ბურჟუაზიის ერთმანეთში მორიგება არის სახელმწიფოს საქმე, ლუიბლანის აზრით, სახელმწიფომ თავისი ფულით უნდა დააარსოს რამდენიმე სამუშაო არტელი, კავშირი ანუ კოოპერატიული ასოციაცია, რომლის წევრებსაც უნდა შეადგენდენ მუშები. თვითოეული ასოციაცია განაგებს რომელიმე მსხვილ დარგს წარმოებისას, მასა აქვს საკუთარი ფაბრიკა, საცა მუშაობას თვალყურს ადევნებენ მთავრობის მიერ დანიშნული პირები ერთი წლის განმავლობაში. ერთი წლის შემდეგ, რაკი მუშები საქმის წარმოებას და ერთმანეთს გაეცნობიან, ზედმხედველებს ისინი თვითონ არჩევენ. მუშებს ეძლევათ ერთნაირი ქირა პირველ ხანებში, შემდეგ კი ლუიბლანს უფრო სამართლიანათ მიაჩნია, რომ ყოველ მუშას ეძლეოდეს მისი შრომისა და საჭიროების კვალობაზე. წმინდა შემოსავალი იყოფა სამ ნაწილათ: ერთი ნაწილი უნდა დაურიგდეს კავშირის წევრებს თანასწორათ, მეორე ნაწილი უნდა მოხმარდეს მოხუც და სნეულ მუშებს და აგრეთვე იმათ, ვინც კრიზისების გამო უსაქმოთ დარჩება; მესამე უნდა მოხმარდეს კავშირების გაფართოვებას, გაუმჯობესებას და ახლების დაარსებას. ერთ დროულათ რამოდენიმე ასოციაციის დაარსება სრულებით საკმარისია. ამ ასოციაციებსა და კერძო კაპიტალისტებს შორის უსათუოთ ასტყდება ქიშპობა და მეტოქობა. სახელმწიფომ უნდა დაიკავოს ასოციაციების მხარე. მთავრობამ არ უნდა მიმართოს კერძო კაპიტალისტების დასამარცხებლათ ისეთ საშუალებებს, როგორსაც თვითონ კერძო კაპიტალისტები ხმარობენ ერთმანეთის წინააღმდეგ. ეს საშინლათ გაამ-

წვავებდა ბრძოლას. მთავრობამ ზომიერი მფარველობა უნდა გაუწიოს კავშირებს, კაპიტალისტებს, ნამეტნავათ არ უნდა დააწევიოს ხოლმე ფასი ამ კავშირების გასაკოტრებლათ; თუ ვინიცობაა რომელიმე კავშირის საქმე გლახათ წავიდა და მან მეტოქობა ვერ გაუწია კერძო წარმოებას, სახელმწიფო ფულით უნდა დაეხმაროს მას. ლუიბლანი მხედველობაში იღებს აგრეთვე, რომ ასსოციაციაში მუშები გაცილებით უფრო ხალისიანათ, მხნეთ და ერთგულათ მოეკიდებიან საქმეს, ვიდრე კერძო ფაბრიკებში, რადგანაც მოგება ში ისინიც მონაწილენი არიან და რაც უკეთ წაიყვანენ საქმეს და მეტს მოიგებენ, ის უმჯობესია მათთვის. ამ მიზეზისა და მთავრობის მფარველობისა გამო ასსოციაციების საქმე ძალიან კარგათ წავა, კერძო მწარმოებლები თან და თან გაკოტრდებიან; კაპიტალისტები დარწმუნდებიან რომ მათი ხსნა შეუძლებელია, და ისინი მთავრობას გადასცემენ თავის ფულს ასსოციაციების გასამრავლებლათ. ამით კაპიტალისტები არაფერს არ წაგებენ, რადგანაც მთავრობა მათ კარგ სარგებელს მისცემს, ამგვარათ მალე კერძო წარმოება სრულებით მოისპობა, მთელი წარმოება ასსოციაციების ხელში გადავა და მათი მეთაური იქნება მთავრობა. მთავრობის ხელში გადავა აგრეთვე რკინის გზები და ვაპრობის მოწყობა. მთავრობა არის ამგვარათ ასსოციაციების ზედამხედველი, ის თვალყურს ადევნებს საერთო წარმოებას, იმის გასაწესრიგებლათ სხვა და სხვა ზომებს ხმაროს და სავალდებულო კანონებს ადგენს. ამგვარათ ლუიბლანი მეტოქეობის შემწეობით სპობს მეტოქეობას, როგორც თვითონ სწერს, კერძო მწარმოებლები აღარ არსებობენ და მთელი წარმოება ასსოციაციების ხელშია. მათ შორის რომ არ იჩინოს თავი მეტოქეობამ, წარმოება დაყოფილია რამდენიმე მსხვილ დარგათ. ყოველი დარგებში არის ერთი მთავარი ასსოციაცია და დანარჩენები მასთან არიან მჭიდროთ შეკავშირებული. ყოველი ასსოციაცია თვითონ განაგებს თავის საქმეს, ხოლო ზედამხედველობა სახელმწიფოს ეკუთვნის.

საფოსტო უწყება შესდგება სხვა და სხვა განყოფილებისა და ნაწილებისაგან, მაგრამ ყველა ისინი მწყობრათ და შეთანხმებულათ ჰმოქმედენენ; იგივე თანხმობა დამყარდება საწარმოო ასსოციაციებს შორის, როდესაც მათი ზედამხედველი და მეთვალყურე სახელმწიფო იქნება, სწერს ლუიბლანი.

ლუიბლანის აზრით საზოგადოებაში კეთილდღეობისა და მყუდროების დასამყარებლათ საჭიროა:

1. მსხვილი წარმოება.

2. კერძო წარმოების მოსპობა.

3. წარმოების ყველა საშუალებათა გადაცემა სახელმწიფოს ხელში კაპიტალის გარდა.

4. საზოგადო წარმოება კოოპერატიულ ასსოციაციებში.

ლუიბლანის აზრით ამ საქმის განხორციელება არის მთავრობის საქმე, მისი შესრულება მხოლოთ მთავრობას შეუძლია. ლუიბლანი თუმცა ბურჟუაზიას წარმოებას აცლის ხელიდან, მაგრამ კაპიტალს უტოვებს და ამით მის ახალწყობილებაში ბურჟუაზიაც რჩება და პროლეტარიატიც. მუშა ხალხი შრომობს და თავისი შრომისა და საჭიროების კვალობაზე ეძლევა მას ყველაფერი. კაპიტალისტებს კიდევ თავის კაპიტალი მოთავსებული აქვთ ასსოციაციაში, მთავრობისაგან სარგებელს იღებენ და ეგმრიელათ სცხოვრობენ.

ცხვარიც მთელია, მგელიც მაძღარია და საერთოთ ყველა კმაყოფილია.

ლუიბლანის ასსოციაციები მუშა ხალხს ძალიან მოეწონა. მთავრობამ მისცა ლუიბლანს თანხა ასსოციაციების დასაარსებლათ. ლუიბლანმა დააარსა რამდენიმე ასსოციაცია. მთავრობის დახმარებით მათი რიცხვი მალე სამოცამდე ავიდა, მაგრამ ლუიბლანმა ვერ განახორციელა ამ ასსოციაციებში ერთ მხარე, რასაც ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

იმის ასსოციაციებში მესამედი მოგებისა მუშებისა უნდა ყოფილიყო. დაარსებულმა ასსოციაციებმა კი ამის შესრულება ვერ შესძლეს და მუშები მარტო ქირის მეტს ვერაფერს იღებდენ. ამ ასსოციაციების მომავალი მთავრობას არა სწამდა და თუ ფული დახარჯა მათზე, მხოლოთ იმიტომ რომ ამით მუშათა მოძრაობა და აჯანყება შეეჩერებინა; კაპიტალისტებმა მეტოქობის გულისათვის თავისი მუშების მდგომარეობა გაუუმჯობესეს, ასსოციაციის მუშების მდგომარეობა უარესი თუ იყო სხვა მუშებზე, თორემ უკეთესი არა. ასსოციაციები არ წარმოადგენდენ ისეთ პირობებს, რომლებსაც მუშების წახალისება, დაინტერესება და მათი შრომის შესამჩნევათ განაყოფიერება გამოეწვიათ, ამიტომ ნელ-ნელა დაიხურენ და მოისპენ.

ამგვარათ, ლუიბლანი მარტო მწერლობით და ქადაგებით კი არ დაკმაყოფილდა, მან თვითონ მოიწადინა თავისი განზრახვების განხორციელება, მაგრამ მისმა მეცადინეობამ უნაყოფოთ ჩაიარა. იგივე ბედი ეწია ინგლისელ სოციალისტს რობერტ ოვენს, რომელიც სენსიმონისა და ფურიეს თანამედროვე იყო. მუშათა მოძრაობაზე რობერტ ოვენმა გაცილებით მეტი გავლენა იქონია, ვიდრე ფურიემ.

ი. გომართელი.

(შემდეგი იქნება)

ᲕᲐᲠᲡᲙᲕᲚᲐᲕᲗ

მითხარ, რა გინდა, რას მომაჩერდი?
რათ დამცქერიან შენი თვალები?
რა გსურს მიამბო, გამაგებინე,
მე გადმომეცი შენი დარდები!...

—

რაღას ჰყოყმანობ?....მაშ მომიყევი,
ვინ გამოგგზავნა—რა დაგავალა,
რა გსურს შეიტყო ამა ქვეყნისა,
—ნურას დამალავ, მითხარი ყველა!..

—

მაგრამ შენ სდუმხარ!... მაშ, მომისმინე!
თვითონ მოგითხრობ—რაც ქვეყნად ხდება;
ყველაფერს გეტყვი, რასაც-კი ვხედავ,
— თუ შენც ისურვე და მომეც ნება!...

—

მაგრამ, არ მჯერა, შენ არ გსმენდეს
ჩაგრულთა გმინვა, კვნესა-ტირილი!...
ნუ თუ ვერ ხედავ—დამშეულთ წრეში,
რა რიგ იმარჯვებს ისევ სიკვდილი?!

—

სისხლის მორევი უკვე გაივსო;
მსხვერპლთა რიცხვი-კი უფრო მატულობს
და დავიჯერო, შენ ვერა ხედავ,
რომ წამებული ხსნას ვერ პოულობს?!..

—

ყურს აღარ მიგდებ,—რა მიზეზია?
ეგ ცრემლი შენი რაღასა ჰნიშნავს?
ნუ თუ შენც სწუხარ, რომ ქვეყანაზე
უსამართლობა ჩვენ ასე გვტანჯავს?!..

—

მაშ ნუღარ სტირი, წადი უამბე,
ამის შეტყობა ვინც დაგავალა;
შენ მას ურჩიე, რომ დაგვეხმაროს,
თორემ ივსება ჩვენი ფიალა!..

—

შენ კიდევ სტირი!.. რატომ არ წახვალ?..
ნუ თუ იმედი არსაითა გაქვს?
ნუ თუ შენ მფარველ, მეფეთა-მეფეს,
ამის საკმაო ძალაც არა აქვს?!..

—

ახლა-კი მესმის რამაც დაბადა
შენი ცრემლები, ცის მარგალიტო...
მაგრამ, ნუ სტირი, შენ არ გიხდება,
რადგან ცრემლები ჩვენია მარტო!..

ვ. ვ—ი.



ᲑᲐᲥᲝᲡ ᲜᲐᲕᲗᲘᲡ ᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲗᲐ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲓᲐᲜ.

(„Отчетъ Союза Механическихъ рабочихъ г. Баку и его раіоновъ за 1907|8 г.“)

II *)

ბაქოსა და იმის რაიონების მექანიკურ წარმოების მუშათა პროფესიონალურ კავშირის მოქმედება საანგარიშო წელს ყოფილა სამ გვარი: 1) ნავთის მრეწველობის პროლეტარიატის ეკონომიურ ბრძოლაში მონაწილეობის მიღება და მისი პოლიტიკა. 2) პროპაგანდა და აგიტაცია, და 3) საურთიერთო დახმარება.

დავიწყოთ უკანასკნელიდან. მოგეხსენებათ, რომ მუშათა ეკონომიური ორგანიზაცია, რომელიც მთავარ მიზნათ ისახავს თავის წევრთა ნივთიერ მდგომარეობის გაუმჯობესებას, მხარს ვერ აუკცევს საურთიერთო ნივთიერ დახმარებას. მაგრამ დახმარებაც არის და დახმარებაც. მუშათა ხელფასი—ვიდრე არსებობს კაპიტალისტური საზოგადოება—ვერასოდეს ვერ მიაღწევს ისეთ რაოდენობას, რომ აქედან გამოღებულ წვლილით „კავშირს“ შეეძლოს სამკურნალო მალამო დასდოს თავის წევრთა გაჰირვებას. მუშათა საურთიერთო დახმარება მუდამ იქნება ძალიან მცირედი რამ პალიატივი. ამიტომაც გათვითცნობიერებული მუშები ესწრაფიან თავიანთ ფარსაგ არსებობის უზრუნველყოფა დაკისრონ თვით კაპიტალისტებსა და სახელმწიფოს. ასეთ მისწრაფების განსახორციელებლათ კი სხვა გზა არ არის თუ არ ორგანიზაციული, აქტივური, კლასობრივი მოქმედება. რაც უნდა სასარგებლო და მიუკილებელი იყოს საურთიერთო დახმარება, მუშათა პროფესიონალურ კავშირს არ შეუძლიან ამ საგანს მოანდომოს მთელი ანუ თუნდ უმთავრესი თავისი ყურადღება, რადგან ამ შემთხვევაში იგი ასკილდებოდა თავის მთავარ დანიშნულებას, იგი აღარ იქნებოდა ბრძოლის ორგანიზაცია, არამედ გადიქცეოდა უბრალო საურთიერთო დაზმარე კასსათ. ყველა ეს ბაქოს მექანიკურ წარმოების მუშათა კავშირს პირველ ხანებში არა ჰქონია კარგათ გათვალისწინებული. 1908 წ. დასაწყისამდე „კავშირს“ უსელმძღვანელნია ისეთი ინსტრუქციით, რომელიც საურთიერთო დახმარებას სრულიად შეუფერებელ ნიადაგზე აყენებდა. ამ ინსტრუქციით, ყოველ წევრს, რომელსაც ჯერ მხოლოდ ორი თვე გაეტარებინა კავშირში, უფლება ეძლეოდა ეღო საამხანაგო კასიდან ყოველნაირი დახმარება და ისიც

*) იხ. „იალქანი“ № 5

განუსაზღვრელ დროს განმავლობაში. მხოლოდ 1908 წ. დამდეგს შეუცვლიათ ეს წესები და საქმეც რიგიან კალაპოტში ჩამდგარა. ახალა ინსტრუქციით დახმარება ეძლევათ წევრებს უმუშევრობისა და გაფიცვების დროს. პირველგვარ დახმარების უფლება ეძლევა მხოლოდ იმ წევრს, რომელიც კავშირში ყოფილა არა ნაკლებ 8 თვისა და ამასთანავე უკლებლივ უხდია საწევრო გადასახადი. მეორე გვარ დახმარების მისაღებათ საჭიროა 3 თვე მაინც წევრათ ყოფნა და აგრეთვე უკლებლივ გადახდა საწევრო წელილისა. ამასთანავე, გაფიცვების დროს აღებული დახმარება ითვლება სესხათ. გარდა ამისა, ამავ წესდების ძალით, წლის განმავლობაში ერთსა და იმავე პირს უფლება აქვს აიღოს დახმარება მხოლოდ $4^{1/2}$ თვე და ერთმანეთზე, შეუწყვეტლივ კი არა უმეტეს $2^{1/2}$ თვისა.

აღსანიშნავია, რომ მექანიკურ წარმოების მუშათა კავშირი საკმაოთ ღონიერი ყოფილა ნივთიერათ და თვალსაჩინო დახმარებაც უძლევია თავის წევრებისათვის. აი ამის შესახები ციფრები: კავშირის არსებობის ორი წლის განმავლობაში. პირველ საანგარიშო წელს (1906—7 წ.) კავშირის ყველა ხარჯების საერთო ჯამია—9374 მ. 70 კ. აქედან დახმარებაზე წასულა 3714 მ. 76 კ. ე. ი 39,6% და განაწილებულია ასე: უმუშევართ —2224 მ. 95 კ. ანუ 23,8% გაფიცულებს სესხად—1342 მ. 98 კ. ანუ 14,3% სამგზავროთ—56 მ. 83 კ. ანუ 0,6%; სამარხი—90 მ. ანუ 0,9% მეორე საანგარიშო წელს, ე. ი. 1907—8 წ. კავშირის საერთო ხარჯებია—6396 მ. 52 კ. აქედან დახმარებაზე წასულა—1620 მ. 67 კ., ანუ 25,3%. აქედან უმუშევრებს მისცემიათ 1097 მ. 90 კ. ანუ 17,2%; გაფიცულებს—398 მ. 5 კ. ანუ 6,2%; სგზაოთ—64 მ. 72 კ. ანუ 1%, და სამარხათ—60 მ. ანუ 0,9% საშუალო რიცხვით კავშირის დასახმარებლად გაუღია წლიურათ 2667 მ. 71 კ. ანუ 32,45% გასავლის ბიუჯეტისა. მართვა-გამგეობაზე გაღებულ ხარჯების შემდეგ, რაიც უდრის გასავლის ბიუჯეტის 60,05%-ს, საურთიერთო დახმარების ხარჯებს პირველი ადგილი უჭირავს.

საანგარიშო წლის ხარჯებში, სხვათა-შორის, შეტანილია 74 მ. საექიმო დახმარება. ამ ხარჯის ასეთი სიმცირე აიხსნება იმ გარემოებით, რომ სამრეწველო რაიონების მუშათა საექიმო დახმარება მოწყობილი ჰქონია თვითონ ნავთის მრეწველთა სიეზდის საბჭოს. ამიტომ კავშირის საექიმო დახმარება დასჭირებია მხოლოდ ქალაქის მუშებს, რომელნიც შეადგენენ პატარა უმცირესობას. საანგარიშო წელს კავშირს ჰყოლია სპეციალისტი ექიმები შინაგან და ბავშვების ავადმყოფობათა, ყელ-ყურისა, ცხვირ-პირისა და თვალების ავადმყოფობათა. დახმარება მიუღია სულ 300 კაცს. ამათში 95% ყოფილა შინაგან ავადმყოფობისა.

კავშირს აზრათ ჰქონია მოეწყო განსაკუთრებული ბიურო იურიდიულ დახმარებისათვის, და თუმცა ამისი დიდი საჭირ.ება ყოფილა, მაგრა გასულ წლებში ეს ვერ განუხორციელებია. მიზეზათ დასახელებულია ის გარემოება, რომ „არ იყვენ შესაფერი დამოუკიდებელი და ადეკვატი იურისტები, რომელთაც შესძლებოდათ შრომის წარმომადგენელთა ინტერესების პატიოსანი დამცველობა.“

კულტურულ განმანათლებელ სფერაში კავშირს, სამწუხაროთ, ძალიან მცირედი რამ გაუკეთებია. ამ საგანზე გაწეული ხარჯები არ აღემატება 300 მანეთს (უდრის გასავლის ბიუჯეტის 4, 6%) და ესეც შედგენს მხოლოდ სუბსიდიას, რომელიც კავშირს სამი თვის განმავლობაში უძლეოია თავის ორგანოსათვის (Промысловый Вѣстникъ“.) კავშირის გამგეობის სხდომათა ოქმებში არა ერთხელ გვხვდება დადგენილება: გაიხსნას საზოგადო განათლების კურსები, მოეწყოს სისტემატიური ლექციები მეცნიერების სხვა და სხვა დარგიდან, დაარსდეს ბიბლიოთეკა-სამკითხველო, მაგრამ ყველა ამ განზრახვათ განხორციელება არ ჰღირსებია. და ამის ერთი მთავარი მიზეზი ისა ყოფილა, რომ მუშათა სწავლისადმი მისწრაფებას წინ გადაღობებია ბაქოს გუბერნიის სახალხო სკოლების დირექტორი. კავშირის გამგეობას შემუშავებული ჰქონია სამეცადინო პროგრამა, დაუსახელებია ლექტორთა მთელი სიაც, მაგრამ ადმინისტრაციას არც ერთი და არც მეორე არ დაუმტკიცებია. კავშირს უფრო სიტყვიერი პროპაგანდა და აგიტაცია უწარმოებია. თემები ყოფილა შემდეგი: პროფესიონალურ კავშირების მნიშვნელობა; რუსეთისა და დასავლეთ ევროპის მუშათა პროფესიონალურ მოძრაობის ისტორია; სხ. და სხ. გვარი პროფესიონალური ორგანიზაციები; პროფესიონალური კავშირები და პოლიტიკური პარტიები; კლასობრივი ბრძოლა და კოლექტიური ხელშეკრულება; სამედიტორო სასამართლოები და მოშრიგებელი კამერები; მრეწველთა სინდიკატები როგორც მუშათა საწინააღმდეგო ბრძოლის ორგანიზაციები; ბაქოს ნავთის მრეწველობისა და მექანიკურ წარმოების მდგომარეობა; რა არის ფეშქაში და როგორ უნდა გაეუმკლავდეთ მას; ხედმეტი და ნარდი სამუშაოები; ეკონომიური ტეროორი და ბრძოლა მის წინააღმდეგ; მწარმოებელი და მომხმარებელი კოოპერატივები. ზოგიერთ ამ სა-

კითხებზე სისტემატიური ლექციებიც უკითხავთ. დასახელებულ საგნების შესასწავლათ მუშათა მასსაში საანგარიშო წლის დამდევს უფრო მეტი ხალისი და ინტერესი ყოფილა, ვიდრე წლის ბოლოს, რაც აიხსნება რეაქციის თანდათანი გაძლიერებით.

1906 წ. ბოლოდანვე ნავთის მრეწველობამ საერთოდ ძალიან ძირს დაიწია და ამასთანავე ეცემა მექანიკური წარმოებაც. ეს, რა თქმა უნდა, შესაფერ გავლენას ახდენს იმ ეკონომიურ ბრძოლაზე, რასაც კავშირი ეწევა კაპიტალისტების წინააღმდეგ. წინათ კავშირი ნავთის მრეწველობის მთელ პროლეტარიატს წინ უძღოდა ხოლმე ახალ-ახალ მოთხოვნების წამოყენებაში და ამ მოთხოვნათა გასატარებლათ ატეხილ ბრძოლაში. ეხლა კი იგი აწარმოებს მხოლოდ საგერ ტაქტიკას; მთელი მისი ყურადღება იმაზეა მიქცეული, რომ წინანდელი შენაძენი როგორმე შეინარჩუნოს. სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ, რომ კავშირი თავისუფალი ყოფილა ახლათ გამოღვიძებულთა იმ გულბრყვილო გატაცებისაგან, რომელიც ყოველ გაფიცვასა და ყოველგვარ გალაშქრებას კაპიტალისტებისა თუ მთავრობის წინააღმდეგ ხელსაყრელათ და სასარგებლოთ სთვლის მუშებისათვის. კავშირი მოქმედობს ძალიან წინდახედულათ და მოფიქრებით. იგი უმალ იკვლევს წარმოების არსებულ მდგომარეობას, სწონავს საკუთარ ძალღონეს, მუშტრის თვალით შინჯავს ბრძოლის საშუალებებს, და მხოლოდ ასეთი მომზადების შემდეგ, თუ კი თავისთვის ხელსაყრელათ სცნობს დასახელებულ პირობებს, იგი იწყებს აშკარა ბრძოლას. აი მაგ. რას ვკითხულობთ კავშირის გამგეობის ერთ განზრახულ გაფიცვის შესახებ: „ვინაიდგან ბრძოლის სასურველი შედეგი დამოკიდებულია იმაზე, რომ გაფიცვას შეგნებულათ ეკიდებოდენ მუშები და ასეთ შეგნებას კი ჩვენს მუშებს ვერ ვატყობთ, ამიტომ დღეს წინააღმდეგი ვართ გაფიცვისა, და ამასთანავე ვაცხადებთ, რომ იგი ნაადრევი იქნება იმ დრომდე, სანამ საკითხი შესწავლილი არ იქნება თვით ფართო მასსაში.“ (ეს რეზოლიუცია მიღებულია 7 აგვ. 1907 წ.).

როგორცა ჰხედავთ, მექანიკურ წარმოების მუშათა კავშირი ძალიან შორსა მდგარა იმ ურა-ტაქტიკისაგან, რომელმაც ამდენი ვნება მოუტანა რუსეთის პროლეტარიატს. მაგრამ ამ ტაქტიკას, სამწუხაროთ, დიდი გასავალი ჰქონია ნავთის მრეწველობის პროლეტარიატის მეორე პროფესიონალურ კავშირში („ნავთის მრეწველობის მუშათა კავშირი“). ტაქტიკის სხვა და სხვაობის ნიადაგზე ამ ორ კავშირს ერთმანეთთან ხშირათ ჰქონიათ კონფლიქტები, რაც, უმეტეს ნაწილათ, გათავებულა მეორე კავშირის (ნ. მრ. მ. კ.) სასარგებლოთ, და ეს ასეც უნდა ყოფილიყო, რადგან შეუგნებელ მასსისათვის უფრო გასაგები და მისაღებია სწორეთ ურა-ტაქტიკა; და ბაქოს ნავთის მრეწველობის მუშათა უმრავლესობას კი ჯერ ისევ, რა თქმა უნდა, შეუგნებელი მასსა შეადგენს.

ორივე ტაქტიკის მთელი ავ-კარგიანობა სავსებით გამოამჟღავნა იმ კამპანიამ, რომელსაც მიზნათა ჰქონდა შეემზადებინა ბაქოს პროლეტარიატის წარმომადგენელთა და ნავთის მრეწველების განზრახული თათბირი კოლექტიურ ხელშეკრულების დასადებათ. მექანიკურ წარმოების მუშათა კავშირი თავიდანვე სწორე გზაზე დგება, მას წინ უძღვის ნათელი კლასობრივი შეგნება, ნამდვილ მუშურ პოლიტიკის სწორი შეგნება. მას კარგათ ახსოვს, რომ „ვერავითარი სიტყვები, მოწოდებანი და რეზოლიუციები ხალხს ვერ გაუწევენ მის საკუთარ გამოცდილების მაგიერობას“; კავშირი მხურვალე მონაწილეობას იღებს ზემორე კამპანიაში და ყოველ ღონესა ხმარობს შესდგეს მოხსენებული თათბირი მუშებისა ნავთის მრეწველებთან, მაგრამ აქაც წინ ეღობება მუშათა უმრავლესობისაგან მიღებული ურა-ტაქტიკა ბოიკოტის სახით, რომლის მატარებელნი არიან „ბოლშევიკები“, „ესერები“, დაშნაკცაკანები და ანარქისტულ მიდრეკილების სხვა ჯგუფები.

ამ თათბირის გარშემო ნაწარმოები მთელი ეს კამპანია საუცხოვო, თვალსაჩინო მაგალითია იმისა, თუ რამდენათ მავნებელია მუშებისათვის „შეურიგებელი“, ბოიკოტის ურა-ტაქტიკა; იგი ცოცხალი მოწმეა იმის, რომ ამ ტაქტიკას მუშათა მასსაში თვითცნობიერების მაგივრათ შეაქვს თვითმოტყუება, ორგანიზაციის ნაცვლათ დეზორგანიზაცია, და რომ უკეთეს შემთხვევაში იგი ჰნიშნავს მხოლოდ უმოქმედობას. მუშათა პარტია კი, რომლის მარჯვენა ხელია პროფესიონალური და სხვა ეკონომიური ორგანიზაციები, უწინარეს ყოვლისა არის და უნდა იყოს **მოქმედების** პარტია...

Materialismus militans *)

I

პასუხი ბ-ნ ბოგდანოვს

(წერილი მეორე)

მე თუ მატერიას განვმარტავ, როგორც წყაროს ჩვენის გრძნობებისას, თქვენ სრულიად ამა-

*) იხ. „იალქანი“ № 6.

ოთ მიგაჩნიათ „საფიქრებლათ“, ვითომ მე მატერიას ეახასიათებდე „უარყოფითად“, როგორც არ ცდას. ჩემთვის უცნაურიც კია, თუ როგორ შეიძლებოდა ასე დიდათ შემცდარიყავით; სხვა არა იყოს რა, ბევრ ფურცლებს იმ წიგნისას „Критика моихъ критиковъ“, საიდანაც ციტატები მოგყავთ, უნდა განემარტა თქვენთვის, როგორ მესმის მე ცდა. ესავე უნდა განემარტა თქვენთვის იმ შენიშვნებს, რაიც ჩემ მიერ დართული აქვს ენგელსის ბროშურას „Людвигъ Фейербахъ“ და საიდანაც აგრეთვე მოგყავთ ციტატები. ერთ ამ შენიშვნათაგანში, ვეკამთები-რა კანტიანელებს, ვამბობ: „ადამიანის ყოველი ცდა და ყოველი ნაყოფიერი მოქმედება წარმოადგენს მისს აქტიურ ურთიერთობას გარეშე ქვეყნიერობასთან, იგია განზრახი გამოწვევა განსაზღვრულ მოვლენათა და რადგან მოვლენა არის „ნივთთა თავისად“ ჩემზე მოქმედების ნაყოფი (კანტი ამბობს: ჩემი ამ ნივთით გაღიზიანება (afficiren) ცხადია როდესაც ვაკეთებ ცდას, ანუ რაიმე ნაწარმოებს, ამ დროს მე ვაიძულებ „ნივთს თავისად“ გააღიზიანოს ჩემი „მე“ განსაზღვრული, ჩემ-მიერ წინასწარ გამიზნულ სახით. მაშასადამე, მე ვიცი მისი, მეტი თუ არა, ზოგიერთი თვისებანი მაინც, რომლის საშუალებითაც მე მას ვამოქმედებ.“ *)

აქედან პირდაპირი აზრი ის არის, რომ ცდა იგულისხმებს სუბიექტსა და იმის კარგშე მყოფ ობიექტის ურთი-ერთ შორის ზედმოქმედებას. აქედან კი, თავის მხრივ, ცხადია, რომ მე ჩემ თავთან მიუტევებელ წინააღმდეგობაში ჩავვარდებოდი, უკეთუ მოვინდომებდი ობიექტის უარყოფითად განმარტებას: „არა ცდა“; რა ბრძანებაა! სწორეთ —„ცდა“! უფრო სისწორითი რომ ვთქვათ: ეროთ იმ ორ ᲣᲪᲘᲐᲚᲔᲑᲔᲚᲘ პირობაოაგანი, რომელიც საჭიროა ცდისათვის.

თქვენი წიგნის (XIV) შემდეგ ვვერდზე თქვენ, ცოტა არ იყოს, ასხვაფერებთ იმ უცნაურ აზრს, რასაც თქვენ მე მაწერთ. იქ თქვენი სიტყვებიდან ისე გამოდის, ვითომ ჩემის აზრით „ნივთები თავისად“, ერთი მხრივ, არსებობენ და ისიც ჩვენი ცდის გარეშე; მეორე მხრივ, ეგინი ექვემდებარებიან მიზეზობრივობის კანონს. ეს კელავ მეტის მეტათ უცნაურია.

თუ კი „ნივთები თავისად“ ექვემდებარებიან მიზეზობრივობის კანონს, აშკარაა, ეგინი ცდის გარეშე არ არსებობენ. მერე როგორ მოგივდათ, რომ მე მომაწერეთ ორი, ურთი მეორის სრულიად საწინააღმდეგო, დებულება? თუ თქვენ მართლა გეგონათ, რომ მე ამ შემთხვევაში ვეწინააღმდეგები ჩემ თავს, მაშინ თქვენ უმალვე უნდა მიგეკცითა მკითხველის ყურადღება ამ ჩემს მიუტევებელ ულოღიკობაზე, რადგან მხოლოდ ამის გამომეღავნება საკმაო იქნებოდა „ჩემი“ შემეცნების თეორიის გასანადგურებლათ. უხერო პოლემისტი ხართ, ბ. ბოგდანოვო! ან, შეიძლება, თქვენ თავი შეიკავეთ გამოგემეღავნებინათ ჩემი აზრთა წინააღმდეგობა მხოლოდ იმ ბუნდოვან შეგნების გამო, რომ ეს წინააღმდეგობა არსებობს მხოლოდ თქვენს ფანტაზიაში? თუ ასეა, უნდა ჩაეფიქრებოდით ამ თქვენს „განცდას“, რათა იგი ბუნდოვანობიდან ნათელმოსილათ ქცეულიყო. რაკი ასე მოიქცეოდით და დარწმუნდებოდით, რომ ჩემი აზრთა წინააღმდეგობა მართლაც მხოლოდ თქვენი ფანტაზიის ნაყოფი არის, მაშინ, რასაკვირველია, იმით მე არ გამიმასპინძლდებოდით და თქვენს თავსაც ააშორებდით სასაცილო მარცხს. მაშ აქაც კელავ ივივე უნდა ითქვას: უხერო, უშნო პოლემისტი ბრძანდებით, ბ. ბოგდანოვო!

ჩავყვეთ ქვევით და, უწინარეს ყოვლისა, შეეინიშნოთ, რომ ფრაზა: „ნივთები თავისად“ არსებობენ ჩვენი ცდის გარეშე,—ფრიად უხერხული თქმაა. იგი შეიძლება ნიშნავდეს, რომ ნივთები საზოგადოთ მიუწდომელ არიან ჩვენის ცდისათვის. აგრე ესმოდა კანტს, რომელიც ამ საკითხში, როგორც ზევითაც იყო აღნიშნული, თვითონვე ეწინააღმდეგებოდა თავის თავს. *) სწორეთ ასევე ესმით ეს თითქმის ყველა ნეოკანტიანებს, რომელთაც ამ შემთხვევაში ეთანხმება მახიც: ამისთვის სიტყვებთან „ნივთი თავისად“ მუდამ შეერთებულია წარმოდგენა რაღაც X-ზე, რომელიც ჩვენი ცდის გარეშე იმყოფება. და რაკი მახს ისეთი წარმოდგენა აქვს იმაზე, რასაც ეწოდება „ნივთი თავისად“, იგი სრულიად ლოღიკურად იქცევა, როდესაც „ნივთს თავისად“ აცხადებს ცდით მოპოვებულ ჩვენ ცნებათათვის გამოუსადეგარ მეტაფიზიკურ სართად. თქვენ, ბ. ბოგდანოვო, ამ საკითხს უყურებთ თქვენი მასწავლებლის თვალით და მაინც ერთი წუთითაც აზრათ არ მოგდით, რომ შეიძლება იყვნენ ადამიანები, რომელნიც ტერმინს „ნივთი თავისად“ ხმარობენ სრულიად სხვა აზრით, ვიდრე კანტიანელები და მახისტები. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ თქვენ ვერ გაგიგიეართ მე, რომელიც არ ვეკუთვნი არც ნეოკანტიანებსა და არც მახისტებს.

საქმე-კი საკმაოდ მარტივი არის. მე რომ კიდეც მეხმარნა შეუფერებელი ფრაზა „ნივთები თავისად“ არსებობენ ცდის გარეშე, ეს არ იქნებოდა იმ მნიშვნელობით ნათქვამი, ვითომ „ნივთები თავისად“ მიუწდომელნი არიან ჩვენი ცდისათვის; ეს მხოლოდ იმ აზრით იქნებოდა ნათქვამი, რომ იგინი არსებობენ მაშინაც-კი, როდესაც ამა თუ იმ მიზეზის გამო ჩვენი ცდა არა ვრცელდება მათზე.

*) „Людовигъ Фейербахъ“ С. П.-Б. 1906 г. с. 118.

*) კანტის ამ წინააღმდეგობაზე იხილე ჩემი „Критика нашихъ критиковъ,“ გვ. 167 და შემდეგი.

როცა ვამბობთ „ჩვენი ცდა“, ამით გვინდა ვთქვათ : ადამიანის ცდა. გარნა, მოგეხსენებათ, რომ იყო დრო, როცა ჩვენს პლანეტაზე ადამიანი არ არსებობდა. და თუ ადამიანი არ არსებობდა, ცხადია, არც **იმისი ცდა** იქნებოდა. მაგრამ დედამიწა ხომ მაინც არსებობდა. ეს კი იმასა ნიშნავს, რომ იგი (აგრეთვე „ნივთი თავისად“,) არსებობდა ადამიანის ცდის **გარეშე**. **რატომ-ღა** არსებობდა ცდის გარეშე? იმიტომ ხომ არა, რომ იგი ვერ იქნებოდა ცდის საგანი? არა, იგი არსებობდა ცდის გარეშე **მხოლოდ** იმიტომ, რომ ჯერ კიდევ არ არსებობდენ ორგანიზმები, რომელთაც თავისი აგებულების მეოხებით შეესძლებოდათ ცდის მოხდენა.*) სხვა სიტყვებით: „არსებობდა ცდის გარეშე“ ნიშნავს—არსებობდა ცდის დასაწყისამდე. მეტი არაფერი. ხოლო როდესაც დაიწყო ცდა, იგი მაშინ უკვე არსებობდა არა მარტო იმის გარეშე, არამედ აგრეთვე მასშიაც, როგორც მისი აუცილებელი პირობა. ყველა ეს შეიძლება მოკლეთ გამოვხატოთ ასე: ცდა არის შედეგი სუბიექტისა და ობიექტის ურთიერთ შორის ზედ მოქმედებისა. მაგრამ ობიექტი არა სწყვეტავს არსებობას მაშინაც-კი, როცა იმასა და სუბიექტს შორის არავითარი ზედმოქმედება არ სწარმოეს, ე. ი. როცა არა ხდება ცდა. ცნობილი დებულება: „უსუბიექტოთ არ არის ობიექტი“,—ძირითადათ შემცდარია. ობიექტი არა სწყვეტავს არსებობას მაშინაც, როცა სუბიექტი ჯერ კიდევ არ არის, ანუ უკვე შეუწყვეტია მას არსებობა. და ამას აუცილებლად უნდა დაეთანხმოს ყველა, ვისთვისაც-კი თანამედროვე ბუნებისმეტყველების დასკვნანი ფუჭი სიტყვები არ არის: ჩვენ უკვე ვნახეთ, რომ თანამედროვე ევოლიუციის თეორიით სუბიექტი ჩნდება მხოლოდ მაშინ, როცა ობიექტი აღწევს განვითარების განსაზღვრულ სიმაღლეს.

(შემდეგი იქსება)

აგდულ-ჰამიდის დახასიათება.

„ნორმალურ ადამიანს არ შეუძლია სულის ის მოძრაობა, რასაც ჩვეულებრივად თავიანთ სიბრძყვითა თუ პირფერობით უმაღლესს უწოდებენ. ვინც დარწმუნებულია მეგობრისა, მოყვასისა ან მოსამსახურის უანგარო ერთგულებაში,—იგი საგიჟეთში უნდა მოათავსონ.“

„პირველი ადამიანები (ადამ და ევა) იმისთვის იქმნენ სამოთხიდან განდეგილნი, რომ გულუბრყვილოთ ეგონათ ღმერთი უანგაროთ.“

„მხეგრჩლის შეწირვა და ლოცვა—ეს სუსტი მეცადინეობაა ადამიანისაგან შემომქმედის მოსასყიდათ. ყაკობრიობის გაჩენის დღიდანვე ადამიანი ყოველთვის ყიდულობდა კეთილ განწყობილებას როგორც ზეცისას, ისე მის გარშემო მყოფ წრისას.“*)

ზოგჯერ ასე გულახდილად უზიარებდა თავისს აზრს აბდულ-ჰამიდი ყოველად ძლიერს სახლთ-უხუცესს—არაბს იზეტ-ფაშას.

აბდულ-ჰამიდის აზრით, მთელი კაკობრიობა ორად იყოფა: ერთი ნაწილი ადვილად მოსატყუებელია ოქროთი, მეორე—ძალიან მცირე ნაწილი, ეს—გულუბრყვილო, ჯიუტი სულელია. პირველი ტიპის ადამიანები საშინლად ეზიზღებოდა, მაგრამ მაინც იახლოვებდა იმათ. სიყმაწვილიდანვე ყიდულობდა ქებასა და კარის-კაცთა ერთგულებას. ოსმალეთის ისტორია ბევრ დამახასიათებელ სურათს იძლევა ამისას.

ფერიდ-ფაშა ადრიანოპოლის ვალათ (გუბერნატორათ) იყო, როცა დიდი ვეზირის თანამდებობაზე მიიწვიეს, იგი საჩქაროთ გაექანა კონსტანტინოპოლს. სასახლის დიდებულებმა, რომელნიც ფერიდის მტრები იყვენ და რომელთაც კარგათ იცოდენ თავიანთ მბრძანებელის ხასიათი, დაუწყეს ფერიდს ქება უანგარო და მოუსყიდველ ხასიათისათვის. სულთანმა რომ ეს გაიგონა, მაშინვე ბრძანა:

— ფერიდ-ფაშა დაუყონებლივ უკანვე გაბრუნდეს. ბრწყინვალე პორტი გიჟების სახლი არ არისო.

ბერლინის კონგრესის შემდეგ ილდიზ-კიოსკში ზეკი-ფაშას მონაწილეობითა და თვითონ სულთანის თავმჯდომარეობით მუშავდებოდა საზარელი გეგმა ოსმალეთში მცხოვრებ სომეხთა საერთო ამოწყვეტის შესახებ. ამაზე სფერებში არა ორაზროვანი მითქმა-მოთქმა იყო. რუს-ოსმალოს ომის გმირი გენერალი ფუად-ფაშა მაშინვე გაჰქანდა სულთანთან, რა წამს სასახლის კამარილის ეს განზრახვა გაიგო. „დაუცხრომელნი“ გენერალმა არც აცივა, არც აცხელა და პირდაპირ დაუწყო სულთანს იმის მტკიცება, რომ ოსმალეთს დაღუპავს ეროვნებათა შორის ვეღლიო.

— რასა ბრძანებთ, სომხების ამოწყვეტით დიდ სახელმწიფოთა საქმეში ჩარევას გამოიწვევთ, კავკასიიდან ჯარებს დასძრავენ. ამ საფრთხით ფიქრობდა ფუად-ფაშა სისხლის ღვრის აცდენას ქვეყნისთვის.

პასუხის ნაცვლათ სულთანმა შემპარავის ღიმილით ჰკითხა იზეტ-ფაშას:

— შვილო ჩემო, ყველა წესრიგი სისრულეშია მოყვანილი ელჩ №-ისათვის სახლის გადასაცემად, ან რას ფიქრობ, ელჩ—№-ის მეუღლეს ძალიან მოეწონა ძვირფასი ყელსაბამი?

— მე რომ რამდენიმე ათეული მილიონი მქონოდა ბერლინის კონგრესის დროს, რომ ამით ბისმარკის გული მომეგო, კონგრესს ოსმალეთისა-

*) ნამდვილად ცდის უნარი შესწევთ, რასაკვირველია, ცხოველებსაც, მაგრამ მე არა ვსაუბრობ მათზე ლაპარაკს, რადგან, იმის გამოსარკვევათ თუ როგორი მესმის მე ცდა, საკმო არის მივუთითთ **ადამიანის** ცდაზე.

*) „ილდიზ-კიოსკის საიდუმლოებანი“—სეფერ-ბეისა (საბან.ედინის).

თვის სასურველ მიმართულებას მივცემდით,—არა ერთხელ არწმუნებდა სულთანი თავის მახლობელთ.

როდესაც იტალიის კონსულმა გამოამჟღავნა, რომ კონტრ-ადმირალ საიდ-ფაშას, რომელიც ქალაქ სმირნის პოლიცმეისტრის თანამდებობას ასრულებდა, საქმის შესახები დამოკიდებულება აქვს ერთს სახელ-განთქმულ ავაზაკთანო. აბდულ-ჰამიდმა ადგილობრივი ვალის, საიდის მამას, ქიამილ-ფაშას, საყვედური უთხრა, როგორ ვერ დაჰფარე შენი შვილის, ოსმალეთის ფლოტის აფიცრის, მოქმედებაო.

ქიამილ-ფაშამ პასუხის მაგიერათ ადმინისტრატიულის წესით გაჰგზავნა თავისი შვილი სულთანთან და შემდეგი ქაღალდი გაატანა: „ილდიზ-კიოსკმა აღზარდა საიდი და ეხლა შეიძლება იქვე დაარწმუნონ, რომ ქურდობა—დიდი სიკეთე არ არისო“.

ივლისის რევოლიუცია მოულოდნელი იყო სულთანისათვის, მაგრამ ის მაინც არ დაიბნა და გადასწყვიტა მოესყიდნა ყველა. ნიაზი-ბეი ვერ აცდუნა ფადი-შაჰის დაპირებამ.

— მაშ თუ ეგრეა, სტაცეთ ხელი მაგ მეამბოხეს და დახვრიტეთ „სტამბულის“ ხიდზე—ბრძანა სულთანმა, რომლისთვისაც ფული ყოვლის შემძლებელ რამეს წარმოადგენდა.

მაგრამ ასი მილიონი, რომელიც მან თავის მბრძანებლობის შესანარჩუნებლად გადასდო, უძლური გამოდგა ჭეშმარიტებასთან საბრძოლველათ და ფადი-შაჰმა თავის მეფობის 35 წლის განმავლობაში პირველათ იგრძნო ამაოება ოქროსი.

და შესაძლებელია ტახტიდან გადაგდებული აბდულ-ჰამიდი ეხლა მაინც პატივისცემას გრძნობდეს იმ მეორე ტიპის ხალხის მიმართ, რომელთაც გულუბრყვილო სულელთ ეძახდა...

პროვინცია.

—

ქ. თელავი. ეს ორი წელიწადი შესრულდა, რაც თელავის მაზრაში ორი, თავზე ხელ აღებული ვაჟბატონი დათარეშობს. მათმა თარეშმა ვინ იცის რამდენი ადამიანი გამოასალმა წუთისოფელს, რამდენი სოფელი ააწიოკა და დაარბია. მათივე მეოხებით ვინ იცის რამდენისათვის უკრავთ თავი ცივ ქვეყნებში. არც ერთ მაზრაში არ მომხდარა ისეთი მასსიური გადასახლებ-დატუსაღება, როგორც ეს თელავის მაზრაში მოხდა და ხდება.

დღეს თელავის სატუსაღო გაჭედილია ხალხით; ორმოცის ადგილას ორასი კაცი—და ხანაც მეტია დატუსაღებული. და ყველა ეს მხოლოდ იმიტომ, რომ როდისმე მათ ხმა გაუციათ ამ ვაჟბატონებისთვის და ან მათ სოფელში გაუვლიათ. ყველას ენაზე აკრავს დღეს „ლეკი და გოგია“, ყველას თავზარს სცემს მათი გაგონება. და ეს ყველა ასეც უნდა იყოს, რადგან ეს ბატონები სურვილისამებრ გაითარეშებენ რომელიმე სოფელში და მეორე დღესვე ასობით დატუსაღება, დარბევა-აწიოკება მოჰყვება პოლიციისაგან.

ამას წინათ მოინებეს ამ ვაჟბატონებმა სოფლით განავარდება და ეწვიენ ს. კისის-ხევს. მისვლისთანავე ჩაუსხდენ წითელ ნუნუას და თავისებურათ ქეიფს შეუდგენ. ამ ხმამ მიაღწია მაზრის უფროსამდისაც. მყისვე რამდენიმე ყაზახით თავს დაეცა, მაგრამ ადრე შეიტყეს მაზრის უფროსის მოახლოვება და თავს უშველეს.

ისინი გაიქცენ, მაგრამ სოფელი ხომ იქავე დარჩა! შეუდგენ ყაზახები სამაგიეროს გადახდას და ამ დროს სწორეთ ჯოჯოხეთს წარმოადგენდა ეს სოფელი. ცემა, გმინვა მათრახ ქვეშ, დედაკაცების კივილი გულსაკლავათ გაისმოდა მთელ მიდამოში, ისინი კი ყელმოღერილნი დახარხარებდენ ამ ჯოჯოხეთურ სურათს იქვე მაღლობ მთიდან.

დაიჭირეს სამოცამდე კაცი, რომლებმაც ვინ იცის რამდენი სასიკვდილო წამები არ განიცადეს. დღეს ყველანი სატუსაღოში ლაფავენ სულს და მათი ერთად ერთი მასაზრდოებელი ვენახები კი უპატრონოთ ფუჭდები. ყველა ამ უბედურობების გარდა ახლა 3,000 მანათით დაშტრაფვას უქადიან, რაც მოსალოდნელია სისრულეში მოიყვანონ. ამას თან დაუმატეს მთავრობის მამასახლისი და ასე სამარის კარზე ერეკებიან აქაურ მცხოვრებლებს.

ხშირათ შეხვდებით სატუსაღოს კარებთან თოთო ბავშვებით სოფლის დედაკაცს, რომელიც თვალცრემლიანი შემოგჩივლებს: მამაკაცი დაიჭირეს და ჩვენ უმწეონი დღეს თუ ხვალ შიმშილის მსხვერპლი გავხდებითო. აი ამ ვაჟბატონების საქმენი საგმირონი!..

ამას წინათ ერთმა გლეხმა დაღვრემით მითხრა: „პარტიის კაცებია და აბა რა უნდა ვუყოთო.“ ასეთი აზრის, სამწუხაროთ, ბევრნი არიან და მათ საყურადღებოთ მხოლოთ იმას ვიტყვი, რომ მათ არავითარი კავშირი არ აქვთ არც ერთ პარტიასთან. ამის დასამტკიცებლათ საკმარისია წაიკითხონ თელავის ს. დ. ორგანიზაციის ფურცელი, სადაც ნათქვამია: „ლეკი და გოგია არცერთ პარტიის გავლენის ქვეშ არ იმყოფებიან და, პირიქით, ვცდილობთ თელავის მაზრიდან გავდევნოთო“.

და ან კი განა ეჭვი შეიძლება ვიქონიოთ, ამ მაჟბატონების ვინაობაზე? იგინი თავიანთ ეგოისტურ სურვილებისთვის მსხვერპლათ იწირევენ ბედკრულ ხალხს!

დრო არის პირბადე თვით ხალხმა ჩამოხსნას ამ ბატონებს და ვნახოთ მაშინ, რამდენ ხანს იბოგინებენ.

V. B.

ბათუმის დღევანდელი ვითარება.

ბათუმი, ეს შავი ზღვის ქალაქი, ერთ დროს დასავლეთ კავკასიის სამრეწველო ცენტრი და სიცოცხლით სავსე, დღეს მიცვალებულს წააგავს; ოდესღაც მოძრავი, მუშებით გატენილი, სადაც

კაპიტალისტური წარმოება ძალზე განვითარებული იყო, დღეს მოგონებასღა წარმოადგენს. სამრეწველო კრიზისები, რომელიც გამოწვეულია თანამედროვე სოციალურ-პოლიტიკურ მიზეზებისაგან, ბათომს უკვე კარგი ხანია ეწვია და შეწყდა ნავთის ქარხნებში მანქანების ღრიანცელი და აუარებელი პროლეტარიატი ქუჩაში უმუშევართა არმიას მიემატა. იქ, სადაც რამდენიმე ქარხანა მუშაობდა და ათასობით მუშა ხელი ირეოდა, დღეს კი ათობითაც აღარ არის. ერთი სიტყვით, დღეს, ამ საშინელ ხანაში, ბათომი მწვავე კრიზისს განიცდის და მისი ეკონომიური მაჯის ცემა სრულიად მოდუნებულია.

დღევანდელ რუსეთის საერთო კრიზისებმა ბათომის აყვავებული მრეწველობაც ჩააქრო, ისეთი დღე კავკასიაში არც ერთ ქალაქს არ დასდგომია კრიზისებისაგან, როგორიც ბათომის მრეწველობას და სამრეწველო პროლეტარულ არმიას.

სხვა მხრითაც ბათომის ცხოვრების ვითარება სავალალოა. პარტიული კრიზისი როგორც სხვაგან, აქაც ისეთია, აქაც მძლავრათ აქვს ფესვები გადგმული პოლიტიკურ ინდიფერენტიზმს და უმწვერვალეს წერტილს მიღწეულია სრული აპატია. პროფესიონალური და ეკონომიური კავშირები, რომლის აღორძინება-განვითარების სათავეთ ცხრაას ექვსი წელი ჩაითვლება, დღეს უკვე აღარ არსებობს, ისიც დროთა ვითარებას გაყოლია და ბათომის ცხოვრების ჰორიზონტიდან გამქრალა. ნოქრების, „ფარმაცევტების“, კონდიტერების და საპარიკმახეროს მომუშავენი და სხვ., რომელნიც წარმოადგენდენ ცალკ-ცალკე პროფესიონალურ კავშირებს და შეერთებულნი იყვენ ერთ ეკონომიურ ორგანიზაციათ თავის ცენტრალურ ბიუროთი და აწარმოებდენ ბრძოლას ექსპლოატაციის წინაამდეგ, დღეს ყველას თავი გაუნებებია კავშირებისათვის და ისევ ძველ პირობებში გამგზავრებულნი, ხაზეინების მონა-მორჩილნი გამხდარან. ასე წარმოიდგინეთ, ის უფლებები, რომელიც განმათავისუფლებელ მოძრაობამ დატოვა (მაგ. 15 ნოემ. კანონი) და დღევანდელ მომენტში რამოდენიმეთ გამოსაყენებელია და რომლის აუცილებლობა პატარა პროვინციის ოზურგეთის ნოქრებმაც შეიგნეს და გაატარეს ცხოვრებაში, აი ეს უფლებაც ბათომის ნოქრებს ვერ გამოუყენებიათ და ვერ უსარგებლიათ. ასე ამ რიგათ, ისინი თავიანთი უფლების ფეხს ქვეშ გათელვას გულგრილად შეჰყურებენ, და თუ უქმე დღეებში ცოტა თავისუფალი დრო იშოვეს, ნაცვლათ იმისა, რომ რაიმე გონებრივ მეცადინეობას მოკიდონ ხელი, ისეთ მოქმედებას ეწევიან, რომელიც მიაქანებს მათ დემორალიზაციის მორევში.

ეხლა გადავხედოთ კულტურულ მუშაობას. ამ სამოქმედო სფეროშიაც გულ-გრილობას დაუსადგურებია. უენერგიობა, უმოქმედობა, გამეფებულა. აღარავის აინტერესებს ამ სიმპატიური საქმის გასავითარებლათ და ასაღორძინებლად ცოცხალი მეცადინეობა. სადღაა, ლექციების და რეფერატების სისტემატიურათ კითხვა. სახალხო უნივერსიტეტი გაჭირვებულ მდგომარეობაშია მომწყვდეული. სახალხო სკოლები, სადაც უსწავლელი მუშები ანბანს იძენდენ, უკვე დაიხურა უსაღსრობის გამო, აი, აქ, სადაც დღეს მოწინავე ძალების უმთავრესი ყურადღება უნდა იყოს მიქცეული, აქაც სიცოცხლის ნაპერწკლები ჩამქრალა და ისევ რეგრესისაკენ მიექანება. ეს კიდევ ცოტაა, ბათომს თურმე კარგი ხანია რაც ქართული წარმოდგენები არ უნახავს და არც არავინ ფიქრობს, რომ სახალხო წარმოდგენებს ყურადღება მიაქციოს და ხელი შეუწყოს ბათომში წარმოდგენების სისტემატიურათ მოწყობას, რათა გარინდებულ საზოგადოებაში ოდნავი სიფხიზლე მაინც შეიტანონ..

ბათომის ცხოვრების ამ ხანებს მომხდარ ამბებში აღსანიშნავია შემდეგი:

აღდგომის დღესასწაულს აქ მომხდარა ერთი არაჩვეულებრივი მასთან სამწუხარო ამბავი,—რომელიც ჯერ ბათომის ისტორიას არ ახსოვს. როგორც სარწმუნო წყაროებიდან გადმოგვცეს, აქ თან და თან მოდის რუსეთის მხარეებიდან ეგრეთ წოდებულ „ჭეშმარიტ-რუსთა“ კავშირის წევრები და ალბათ მათი „ენერგიული“ მოქმედების ნაყოფია, რომ აღდგომის დღეს პირველათ გაიმართა ბათომში პატრიოტული მანიფესტაცია. ქალაქის მთავარი ქუჩები ხატებით, ჯვრებით, ეკლესიის და პატრიოტულ დროშებით შემოუვლიათ. აქედან ცხადია რომ „ჭეშმარიტ რუსებს“ ბათომში ორგანიზაცია მოუწყვიათ.

შანტაჟისტური მოქმედება ეხლა ბათომში ძლიერ შესუსტებულია და თითქმის ექიმ ტრიანდაფილიდის მოკვლის შემდეგ არავითარი ბოროტმოქმედება არ მომხდარა. საალყო წესების მოხსნის შემდეგ მყუდროება-მშვიდობიანობაა შედარებით წინანდელზე, მხოლოდ ძლიერ გაძლიერებულია „სისკნოი“ განყოფილება და ამ განყოფილების წევრთა რიცხვიც დიდია. სატუსაღოში, როგორც გადმოგვცეს, ტუსაღთა რიცხვი ბევრია მხოლოდ უმეტესობა „უგოლოვნებია“.

ეხლა ორიოდე სიტყვა ბათომის განაპირა მხარეზე დაბა ქობულეთზე.

ქობულეთში ყველაფერი ძველებურათაა, ე. ი. როგორც იყო ამ ათი-ხუთმეტი წლის წინათ. სხვათა შორის ერთმა ამხანაგმა გადმომცა, რომ ქობულეთში შესდგა საამეურნეო საზოგადოება, რომლის წესდება ბათომის სამხედრო გუბერნატორს დაუმტკიცებია. პირველი დამფუძნებელი კრება მიმდინარე წლის ორ აპრილს მომხდარა, კრებას დასწრებია ას-სამოცამდე კაცი და წევრებათ ჩაწერილა ოთხმოცდაჩვიდმეტი. ამ საზოგადოებაში ყველა იღებს მონაწილეობას განურჩევლად ეროვნებისა.

ეს არის და ეს.

ასეთია ბათომის და მის განაპირა მხარეების დღევანდელი ვითარება.

ჰ.

რედაქტორ-გამომცემელი **ლევ. დადეშქელიანი.** სტამბა ნ. კიკნაძის